საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 158 (960)

ოთხშაბათი, 7 სექტემბერი, 1994 წელი.

ფასი 50000 კუპონი

ოფიციალური ინფორმაცია

საახალწლო მილოცვა ებრაელ ხალხს

6 სექტემბერს ებრაელობა შეხვდება ახალ წელს — მათთვის დადგა 5755-ე წელიწადი სამყაროს გაჩენის დღიდან. ებრაელთა ახალი წელი ქვეყნად პირველი ადამიანის — ადამის დაბადების დღეც გახლავთ.

ახალ წელს უწინარესად, მივულოცავ საქართველოს ებრაელობას, რომელიც აგერ უკვე თითქმის 2600 წელიწადია ქართულ მიწაზე მეგობრულ ატმოსფეროში აღნიშნავს როშ-ჰა-შანას — ახალ წელს.

საქართველოს ებრაელობა, ისე როგორც ამ მიწა-წყალზე მცხოვრები ყველა ერის შვილი, იყო, არის და იქნება ქართული ყოფის — მისი მეცნიერების, კულტურის, ეკონომიკის, მრეწველობის — განუყოფელი ნაწილი.

ახალ წელს მივულოცავ ისრაელში წასულ საქართველოს ებრაელობას, მსურს კვლავ დავუდასტურო მას ჩვენი ხალხის საუკუნეობრივი კეთილგანწყობა.

მინდა გამოვთქვა საუკეთესო სურვილები მსოფლიოს ებრაელობის მიმართ, რომელთაც თავისი ღირსეული წვლილი შეაქვთ თანამედროვეობაში.

მწამს, რომ მომავალი წელიწადი ებრაელი ხალხის ისტორიულ სამშობლოში — ისრაელის მიწაზე მოიტანს მტკიცე მშვიდობას და ამ ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოს მიეცემა საშუალება კიდევ უფრო გაზარდოს თავისი ეკონომიკური და კულტურული პოტენციალი.

ვიცი, ებრაელი ხალხის ყველაზე სანუკვარი სიტყვა მშვიდობა გახლავთ. ახალ წელთან დაკავშირებით მშვიდობას ვუსურვებ ყოველ ებრაელ ოჯახს, სადაც უნდა იყოს იგი!

ედუარდ შევარდნაძე.

5.09.94 წელი.

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ინდოეთის ელჩს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური — ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ინდოეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს რუსეთის ფედერაციაში რანენდრა სენს.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობის გაღრმავების, მრავალეროვნული სახელმწიფოს მართვის გაზიარების, სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული ხელშეკრულებების დადების საკითხებს.

აღინიშნა, რომ საქართველოსა და ინდოეთს შორის არის მსგავსება, რაც ქვეყნებში ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების სიმრავლეში, მათდამი ტოლერანტობისა და კეთილი ნების გამოვლენით გამოიხატება. ორივე ქვეყნის პრობლემას წარმოადგენს დღევანდელი მსოფლიოს უმძიმესი სენი — სეპარატიზმი.

ედუარდ შევარდნაძემ დადებითად შეაფასა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნარასიმხა რაოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსი, რომელსაც იგი ქვეყანაში ახორციელებს და იმედი გამოთქვა, რომ სწორედ ეს კურსი ააყვავებს ქვეყანას.

შეხვედრის ბოლოს სახელმწიფოს მეთაურმა ინდოეთისადმი ქართველი ხალხის ტრადიციულ კეთილგანწყობაში დაარწმუნა ელჩი და საქართველოში მოიწვია ინდოეთის პრემიერ-მინისტრი.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
ვ. ჩიქოვანის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ვლადიმერ ჩიქოვანი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
ვ. ჩიქოვანის შესახებ

დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალ-მაიორი **ვლადიმერ ჩიქოვანი** საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების სამხედრო თანამშრომლობის კოორდინაციის შტაბის უფროსის მოადგილედ.

ე. შევარდნაძე.

განიხილეს საშემოდგომო სესიის პირველი სხდომის დღის წესრიგი

5 სექტემბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც შეაჯამეს არდადეგების პერიოდში გაწეული საქმიანობა და განიხილეს პარლამენტის საშემოდგომო სესიის პირველი სხდომის დღის წესრიგი.

სხდომაზე მოწვეულმა საქართველოს ტელერადიოკორპორაციის გენერალურმა დირექტორმა არჩილ გოგელიამ კოლეგიას გააცნო საქტელერადიოს ხელმძღვანელობის მოსაზრებანი ეთერში საპარლამენტო საათის გაშვებასთან დაკავშირებით. ამ გადაცემის მოსამზადებლად შეიქმნა სპეციალური ჯგუფი. პარლამენტარებს არავითარი დაბრკოლება არ ექნებათ, რომ გადაცემაში მიიღონ მონაწილეობა. მხოლოდ მსურველები ტელევიზიას პარლამენტის პრესცენტრის მეშვეობით უნდა დაუკავშირდნენ.

ბატონმა არჩილ გოგელიამ აღნიშნა, რომ თუ სპეციალური ღონისძიებები არ განხორციელდა, შეიძლება საქართველოს ტელევიზია ეთერში ვეღარც კი გავიდეს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უმძიმესი პირობების გამო. გადაწყდა, რომ საქტელერადიოკორპორაციის ხელმძღვანელს მოუსმინენ პარლამენტის უახლოეს სხდომაზე.

კოლეგიამ განიხილა პარლამენტის 1994 წლის საშემოდგომო (სექტემბერ-დეკემბერი) კალენდარული სამუშაო გეგმა და 13-15 სექტემბრის სხდომების დღის წესრიგი. ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მინისტრთა კაბინეტის წინადადებების გათვალისწინებით შექმნან ერთობლივი სამუშაო გეგმა. რაც შეეხება საშემოდგომო სესიის პირველივე სხდომის დღის წესრიგს, განსაკუთრებული მსჯელობის საგნად იქცა მასში პირველივე ნომრად შეტანილი საკითხი — საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინება პარლამენტის წევრების თეიმურაზ ჟორჟოლიანისა და ირაკლი წერეთლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

პარლამენტარებმა რაულ კუპრავამ და თედო პაატაშვილმა შემოიტანეს წინადადება, რომ პირველ სხდომაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტს გააცნოს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება.

აღინიშნა, რომ მიღებულია ზოგიერთი სამთავრობო დადგენილება, რომელიც არსებულ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოდის. კერძოდ, საქმე ეხება გეოლოგიის დეპარტამენტში შექმნილ ვითარებას. ამასთან დაკავშირებით ყველა საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს ეთხოვა გადახედონ სამთავრობო დადგენილებებს დარგების მიხედვით და კანონმდებლობიდან სერიოზული გადახრის შემთხვევაში საკითხი მოამზადონ პარლამენტში განსახილველად.

საშემოდგომო სესიის გახსნამდე — 13 სექტემბრამდე, კოლეგიის სხდომა კვლავ გაიმართება.

საქმიანი ვიზიტით მოსკოვში

დღეს 6 სექტემბერს, მოსკოვში ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს დსთ-ს ქვეყნების საკონსულტაციო-საკოორდინაციო კომიტეტის სხდომის მუშაობაში და მთავრობათა მეთაურების შეხვედრაში. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ვიცე-პრემიერი ზურაბ კერვალიშვილი, მინისტრები, უწყებათა ხელმძღვანელები.

საკონსულტაციო-საკოორდინაციო კომიტეტის სხდომა 7 სექტემბერს შედგება. საქართველოს დელეგაციას ამ სხდომაზე უხელმძღვანელებს ზურაბ კერვალიშვილი, 9-ში გაიმართება დსთ-ს ქვეყნების მთავრობათა მეთაურების შეხვედრა.

დღეს ბატონი ოთარ ფაცაცია შეხვდა საქართველოს საელჩოს, რუსეთის ფედერაციაში რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლობათა ხელმძღვანელებს, ქართველ ბიზნესმენებს.

არმაზ სანებლიძე,
„სრ“ სპეც. კორ.

ედუარდ შევარდნაძე:

„ჩვენთვის მთავარი და საყურადღებო მაინც ის არის, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა, უშიშროების საბჭო და მისი წევრები კვლავაც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ კონფლიქტის მოწესრიგების ჩვენს მიერ არჩეული გზის მიმართ“

5 სექტემბრის რადიოინტერვიუდან.

განცხადება
ლტოლვილთა-ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების საკითხის გამო

1. **1994 წლის** 31 აგვისტოს-1 სექტემბერს ჟენევის შეხვედრაზე კონფლიქტის მონაწილე ქართველთა და აფხაზთა მხარეებმა განიხილეს, კერძოდ, ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და ოთხმხრივი კომისიის მუშაობის საკითხები.

2. მხარეებმა დაიმოწმეს თავიანთი 1994 წლის 4 აპრილის დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც ისინი დათანხმდნენ, რომ ოთხმხრივი შეთანხმების განხორციელება დაიწყება სამშვიდობო ძალების განლაგების შემდეგ, და ცნობად მიიღეს, რომ ასეთი განლაგება მოხდა კონფლიქტის ზონაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების შეყვანის შედეგად.

3. მხარეებმა დაიმოწმეს აგრეთვე 1994 წლის 14 მაისს ხელმოწერილი თავიანთი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ, რომლის თანახმადაც, კერძოდ, მიღწეულია შეთანხმება, რომ საქართველოს რესპუბლიკის ჯარები გავლენ თავიანთი დისლოკაციის ადგილებში აფხაზეთის ფარგლებს გარეთ და, რომ დაშლიან და გაიყვანენ აფხაზეთის ფარგლებს გარედან ჩამოსული პირებისაგან შემდგარ ყველა ნებაყოფლობით ფორმირებას.

4. ორივე მხარე ადასტურებს რა ერთგულებას ამ დებულებებისადმი, დათანხმდა, რომ მონაწილეობას მიიღებს სოჭის ოთხმხრივი შეთანხმების უახლოეს სხდომაში 1994 წლის 6 სექტემბერს და ყოველ ღონეს იხმარს, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნებისათვის მთელი საჭირო დოკუმენტაციის მომზადება, რითაც საფუძველს ჩაუყრიან უახლოეს ხანში ლტოლვილთა ფაქტობრივი დაბრუნების დაწყებას.

5. მხარეებმა აღიარეს, რომ როგორც საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პროცესის ნაწილი, დაბრუნებულებს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველო აცნობებს, რომ აფხაზთა მხარე მათგან მოითხოვს აფხაზეთში მოქმედი კანონების დაცვას, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ოთხმხრივი შეთანხმების სრული შესაბამისობით ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების უფლებას და საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებს, თავისუფლებებსა და ღირსებას.

6. მხარეებმა ცნობად მიიღეს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის სამმართველოს მზადყოფნა ხელი შეუწყოს სტიქიურად დაბრუნებულ ადამიანებს ორგანიზებული წესით დაბრუნებულებთან ერთად, როგორც კი პრაქტიკულად დაიწყება მოწესრიგებული დაბრუნების პროცესი.

7. აღნიშნულის გარდა მხარეები დათანხმდნენ შექმნან სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს დაღუპულთა ნეშტის მოძებნასა და მათი გადასვენების საკითხებზე.

საქართველოს მხრივ
ა. კავსაძე,

აფხაზთა მხრივ
ს. ჯინჯოლია,

ესწრებოდნენ:

გაეროს მხრივ
ე. ბრუნერი,

რუსეთის ფედერაციის მხრივ
ბ. ფედოსოვი,

ევროპის უშიშროებისა და
თანამშრომლობის თათბირის მხრივ
ჯ. ბალდოჩი,

ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი
კომისრის სამმართველოს მხრივ
ჯ. ჰორეკენსი.

ჟენევა, 1994 წლის 2 სექტემბერი.

ჟენევაში ხელმოწერილი დოკუმენტი მისაღებია ორივე მხარისთვის

როგორც ცნობილია, ჟენევაში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების მორიგი რაუნდის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს განცხადებას აფხაზეთში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ.

საქინფორმის კორესპონდენტმა ამ დოკუმენტის კომენტარი სთხოვა ქართული დელეგაციის წევრს, პროფესორ ლევან ალექსიძეს:

ეს დოკუმენტი-განცხადება შეიქმნა დიდი ჭიდილისა და ვნებათაღელვის შედეგად. ჟენევაში ჩვენი ჩასვლის მთავარი მიზანი იყო აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განხილვა. მართლაც გაერომ, ევროთათბირმა და რუსეთის დელეგაციამ შეიმუშავეს მომავალი სტატუსის პროექტი-მონახაზი. დოკუმენტი საკმაოდ რთულია და მასზე მუშაობაა საჭირო. ამიტომ ჩვენ შევთავაზეთ გადაგვედო მისი განხილვა და უწინარესად ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების საკითხზე გვემსჯელა. სოჭში დაგეგმილი მოლაპარაკება ჩაიშალა.

აფხაზები ცდილობდნენ გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრისათვის თავს მოეხვიათ და, საერთოდ დაბრუნების პროცესი დაეკავშირებინათ ლტოლვილებისა და ადგილნაცვალ პირთაგან ხელწერილის ჩამორთმევის აუცილებლობასთან, რომელშიც იქნებოდა „აფხაზეთის რესპუბლიკის“ კანონების უპირობო შესრულების ვალდებულება.

ჩვენმა დელეგაციამ დაასაბუთა ასეთი მოთხოვნის უკანონობა, დაახასიათა იგი, როგორც ახალი პირობა, რომელიც ზღუდავს ოთხმხრივი შეთანხმებით გათვალისწინებულ დაბრუნებულთა უფლებას. საბოლოოდ შემუშავდა პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამსახურმა უნდა შეატყობინოს ყველას, ვინც ბრუნდება, რომ „აფხაზთა მხარე“ (და არა „ხელისუფლება“) მოითხოვს ამ პირებისაგან „აფხაზეთის“ (და არა „აფხაზეთის რესპუბლიკის“) ტერიტორიაზე მოქმედი კანონების შესრულებას, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მათ უფლებას დაბრუნდნენ ოთხმხრივი შეთანხმების სრული შესაბამისობით და ადამიანის ძირითად უფლებებს, თავისუფლებებსა და ღირსებას.

ამგვარად, შეიზღუდა არა მარტო სეპარატისტთა წადილი — შეეტანათ დაბრუნების პროცესში, განსაკუთრებით გაეროს წარმომადგენლის უფლებებში ხელწერილის ჩამორთმევის პრაქტიკა, არამედ ეჭვქვეშ დააყენებინათ ადამიანის უფლებათა კრიტერიუმის გათვალისწინებით ყველა სამართლებრივი აქტი, რომელიც შექმნა სეპარატისტთა ხელისუფლებამ. ფაქტია, რომ აფხაზეთში მოქმედებს რალაც სამართლებრივი წესრიგი, თუნდაც ძალაზე დაფუძნებული, მაგრამ მის უპირობო შესრულებას აფხაზთა მხარე ვეღარ მოითხოვს, რაც მოსალოდნელი იყო იმ შემთხვევაშიც, თუ ხელწერილების პრაქტიკა ძალაში დარჩებოდა.

ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლება ალიარებს აფხაზთა მხარის კანონებს, განცხადება მხოლოდ ფაქტს აფიქსირებს — ვინც დაბრუნდა, რალაც წესი უნდა დაიცვას, თუკი იგი არ ეწინააღმდეგება მის ღირსებას, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. საერთოდ, როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია აღნიშნული, ერთ-ერთი მთავარი უფლებაა არ დაემორჩილო ტირანიას.

ნიშანდობლივია, რომ ამავე დოკუმენტში კიდევ ერთხელ შევატანინეთ დებულება, რომლის თანახმად უნდა განიარაღდეს და დაიშალოს ყველა ჯგუფი, რომელიც აფხაზეთში საომრად ჩამოვიდა. დაღუპულთა ნეშტის მოძებნისა და მათი გადმოსვენებისათვის შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, აღინიშნა, რომ გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისარი გაუწევს დახმარებას როგორც ორგანიზებული წესით, ისე სტიქიურად დაბრუნებულ პირებს.

სოჭში გრძელდება ოთხმხრივი კომისიის სხდომა

სოჭი, 6 სექტემბერი. (იტარ-ტასი-საქინფორმი). წარმატების იმედით განაახლეს დღეს მუშაობა სოჭის სასტუმრო „ლაზურნაიაში“ აფხაზეთში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების პრობლემის შესახებ ოთხმხრივი კომისიის წევრებმა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, კომისიის სხდომა შეწყდა 27 აგვისტოს იმის გამო, რომ მხარეთა წარმომადგენლებს შორის წარმოიქმნა პოლიტიკური ხასიათის წინააღმდეგობანი.

ანდრია ნიკიფოროვმა, რომელიც რუსეთის დელეგაციას მეთაურობს, იმედი გამოთქვა, რომ დღეს დაძლევენ წინათ წარმოქმნილ წინააღმდეგობებს და მიიღებენ წინა შეხვედრებზე განხილული ორი დოკუმენტიდან თუნდაც ერთს — საინფორმაციო ბიულეტენს ლტოლვილთათვის, რომლებსაც აფხაზეთში დაბრუნება სურთ, ან დოკუმენტს „დაბრუნებულთა“ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს დელეგაციას დღევანდელ სხდომაზე მეთაურობს საქართველოს ლტოლვილების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ვალერი ვაშაკიძე, აფხაზთა მხარისას — აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ენვერ კაპბა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს მისიას წარმოადგენს რახმან თალლიმური. სხდომა დღეს საღამოსათვის უნდა დამთავრდეს.

ახალი კანონ-პროექტები

კორუფციასთან ბრძოლას — სამართლებრივი საფუძველი!

ინტერვიუ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთან ბატონ თედო ნინიძესთან

— როგორც ცნობილი გახდა, შემუშავებულია კანონპროექტი კორუფციასთან ბრძოლის შესახებ. ბუნებრივია ფართო ინტერესი ამ პროექტის კონცეფციის და ძირითადი დებულებებისადმი.

— იუსტიციის სამინისტრომ სახელმწიფოს მეთაურის დავალებით შეიმუშავა ასეთი კანონპროექტი. იგი ამჟამად წინასწარი განხილვის სტადიაშია და სახელმწიფოს მეთაურის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარედგინება პარლამენტს.

სახელმწიფოს მეთაურის დავალება დიდი ხანია მივიღეთ. მისი შესრულება დაგვიანდა, რადგან ამ კანონპროექტთან ერთად უნდა მომზადებულიყო სხვა პროექტებიც. კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძველი არასრულყოფილი იქნებოდა ეკონომიკურ ურთიერთობათა მომწესრიგებელი კანონების, სახელმწიფო სამსახურთან დაკავშირებული ურთიერთობების სისტემური მოწესრიგების გარეშე. ამიტომ, პარალელურად, სამინისტრო მუშაობდა „მეწარმეთა შესახებ“ და „სახელმწიფო სამსახურის შესახებ“ კანონპროექტებზე. ახლა ეს სამუშაოც შესრულებულია. სხვათა შორის, ასე მოხდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაშიც, სადაც დღეისათვის კორუფციასთან ბრძოლის დაახლოებით ერთნაირი სოციალური და იურიდიული საფუძვლები არსებობს.

ახლა, რაც შეეხება კანონპროექტის ძირითად კონცეფციას. არ ახალია, რომ ჩვენ შეჩვეულები ვართ კამპანიურობას, სამართალდარღვევებთან ბრძოლაში. კამპანიურობა არ იძლევა სერიოზული სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობას: ცხადდება „ჯვაროსნული ლაშქრობა“ ამა თუ იმ სამართალდარღვევის წინააღმდეგ, რასაც ძლიერები ხშირად გადაურჩებიან, ნაკლებად ძლიერები კი ემსხვერპლებიან ხოლმე.

წარმოდგენილი კანონპროექტები იძლევა კორუფციასთან, როგორც სამართალდარღვევების კომპლექსთან სისტემური მიდგომის საფუძვლებს. კერძოდ, კანონპროექტები ითვალისწინებენ ხელისუფლების მექანიზმის სტრუქტურულ რეფორმირებას, რომლის შედეგადაც უნდა მოხდეს იმ არალეგიტიმური ოპერაციების ხვედრითი წილის შემცირება, რაც ჩვეულებრივ ახლავს ხოლმე თანამდებობის პირის, სახელმწიფო მოსამსახურის საქმიანობას. შემოღებული უნდა იქნეს ისეთი მომწესრიგებელი ნორმები, რომლებიც განსაზღვრულ სახელმწიფოებრივ კონტროლს დაუმორჩილებენ კორუფციის პროცესს. ამდენად, პროექტის უშუალო მიზანია არა შიშველი ადმინისტრირება, არა „ჯვაროსნული ლაშქრობა“, არამედ სახელმწიფო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება, რასაც საბოლოო ჯამში უნდა მოჰყვეს კორუფციის თავიდან აცილება.

— რა მოქმედებები იგულისხმება კორუფციის შინაარსში?

— ჩვენში ეს ტერმინი, თუ არ ვცდები, ოთხმოციან წლებში შემოვიდა. ჩვეულებრივ კორუფციას აიგივებენ მექრთამეობასთან, რაც კორუფციის ვიწრო გაგებაა. კორუფცია გაცილებით ფართო მოვლენაა, ვიდრე მექრთამეობა. დღეისათვის აღიარებული თვალსაზრისით, რომელსაც იზიარებს კანონპროექტიც, კორუფცია არის სახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულებაზე უფლებამოსილი პირის მიერ თავისი მდგომარეობის, ამ მდგომარეობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გამოყენება მატერიალური თუ სხვა სიკეთის ან უპირატესობის მისაღებად. კორუფცია მოიცავს აგრეთვე ასეთი სიკეთის ან უპირატესობის მიცემას სახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულებაზე უფლებამოსილი პირისათვის.

— ამ განმარტებიდან ისე ჩანს, რომ კორუფციის მონაწილენი მხოლოდ თანამდებობის პირები არიან.

— ძირითადად. სახელმწიფო მოსამსახურეები, თანამდებობის პირები და სახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულებაზე უფლებამოსილი სხვა პირები. კანონპროექტი იძლევა კორუფციასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევათა სუბიექტების ჩამოთვლას ანუ იმათ ნუსხას, თუ ვინ შეიძლება პასუხი აგოს კორუფციისათვის. კორუფციასთან დაკავშირებული სამართალდარღვევისათვის პასუხს აგებენ სახელმწიფო მოსამსახურეები, რომლებსაც მუდმივად ან დროებით უკავიათ თანამდებობა, ან სამსახურს გადიან სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებში, დაწესებულებებში და ფულად ანაზღაურებას იღებენ რესპუბლიკის საბიუჯეტო სისტემიდან ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ შექმნილი მიზნობრივი არასაბიუჯეტო ან სავალუტო ფონდებიდან;

კორუფციასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების სუბიექტების წრეს განეკუთვნებიან აგრეთვე სახელმწიფო სამეურნეო სუბიექტების, ასევე იმ სამეურნეო სუბიექტების მოსამსახურეები, რომელთა ქონებაში სახელმწიფო საკუთრების საერთო წილი მთელი ქონების ნახევარს შეადგენს, ან რომლებშიც სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, დაწესებულებები ფლობენ აქციების საკონტროლო პაკეტს;

ამ კანონის სამოქმედო რეალობაში ექცევიან აგრეთვე მოსამართლეები, პარლამენტის წევრები, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სასამართლო მსაჯულები, თვითმმართველობის ორგანოებში არჩეული პირები, პირები, რომლებიც სახელმწიფო ფუნქციებს ახორციელებენ მუდმივად ან დროებით, ან კერძო საქმიანობის წესით და მათთან გათანაბრებული პირები — ესენია: მოქალაქეები, რომლებიც კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულნი არიან კანდიდატებად არჩევით სახელმწიფო ან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში, ბანკის ან სხვა საკრედიტო-საფინანსო, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის დაწესებულებების, ასევე საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის (მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) მოსამსახურენი, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც უკანონოდ გადასცემენ მატერიალურ ან სხვა სიკეთეს სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულებაზე უფლებამოსილ პირებს.

— კონკრეტულად რა მოქმედებებისათვის ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კანონპროექტი ანუ რა ფორმებით შეიძლება გამოვლინდეს კორუფცია?

— კანონპროექტი ერთმანეთისაგან ასხვავებს ორი კატეგორიის სამართალდარღვევებს, რომლებიც დაკავშირებულია კორუფციასთან. პირველ კატეგორიას განეკუთვნება სამართალდარღვევები, რომლებიც ქმნიან პირობებს კორუფციისათვის. მეორე კატეგორიას განეკუთვნება საკუთრივ კორუფციული სამართალდარღვევები.

დავიწყოთ პირველით. კანონპროექტის მიხედვით კორუფციისათვის პირობების შემქმნელი სამართალდარღვევებია: სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესასრულებლად უფლებამოსილი პირის მიერ სხვა სახელმწიფო ან არასახელმწიფო ორგანოთა საქმიანობაში ჩარევა, თუ ეს არ შედის ამ პირის მოვალეობებში; საკუთარი სტატუსის გამოყენება იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც ეხება მის პირად ან ახლო ნათესავების ინტერესებს; იურიდიული ან ფიზიკური პირისათვის არამართლზომიერი უპირატესობის მინიჭება გადაწყვეტილების მომზადების ან მიღებისას; სახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულების დროს მიღებული ინფორმაციის გამოქვეყნება პირადი ან ჯგუფური ინტერესებისათვის, თუ ეს ინფორმაცია არ ექვემდებარება ოფიციალურ გავრცელებას; ცალკეული კანდიდატების ან საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის საარჩევნო ფონდებში სახელმწიფო და ადგილობრივი საფინანსო და მატერიალური რესურსების გადაცემა; ზემდგომი ოფიციალური პირებისათვის საჩუქრების გადაცემა; არასამსახურებრივი მომსახურების გადაცემა; არასახელმწიფო სტრუქტურებისათვის, საწარმოებისათვის, საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის იმ ფინანსური და მატერიალური რესურსების გადაცემა, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფო ფონდს და სხვა.

(დასასრული მე-2 გვ.).

მერვე სვეტი

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

6 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში ა. ჩიკვაიძემ ხელი მოაწერა შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკასა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას შორის.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია წარმოადგენს სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით მუშაობს მიგრანტების, ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებულ და მიგრირებით დაინტერესებულ პირთა პრობლემებზე.

საქართველოში მისი წარმომადგენლობა გასული წლის ბოლოდან ეწევა მრავალმხრივ საქმიანობას, ახორციელებს რესპუბლიკის მთავრობის ჰუმანიტარულ სტრუქტურათა შესაძლებლობების გაზრდის პროგრამას, გაეროს ლტოლვილთა კომისარიატთან ერთად მონაწილეობას იღებს რეპატრიაციის პროგრამაში, კერძოდ, აფხაზეთიდან ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა ტრანსპორტირებასა და დანიშნულების ადგილამდე მიყვანაში.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელით ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ამ ორგანიზაციის რეგიონალურმა წარმომადგენელმა კავკასიაში ბატონმა კიმ ნაიბილმა.

კონფერენციის თემა — გარემოს დაცვა

25-27 სექტემბერს თბილისში გაიმართება შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნების კონფერენცია გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ რეგიონის 11 ქვეყნის გარემოს დაცვის სამინისტროების უმაღლესი თანამდებობის პირები და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები. კონფერენციის მიმდინარეობის დროს გაიმართება აგრეთვე რეგიონის ქვეყნების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა.

კონფერენცია და სამუშაო ჯგუფი განიხილავენ და შეიმუშავებენ ერთობლივი თანამშრომლობის პრინციპებს გარემოს დაცვის სფეროში.

პარლამენტის პრესცენტრი იტყობინება

პარასკევს, 9 სექტემბერს, 18 საათზე პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართება საპარლამენტო უმრავლესობის საბჭოს გაფართოებული სხდომა.

ორშაბათს, 12 სექტემბერს, პარლამენტის სხდომათა დარბაზში 18 საათზე მოწვეულია საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა, ხოლო 17 საათზე — პარლამენტის კოლეგიის გაფართოებული სხდომა.

ერთობლივი საწარმო

უცხოელ ბიზნესმენებთან აჭარის მეწარმეთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შედეგი იყო ისრაელ-ინგლის-საქართველოს ბუნებრივი წვენების ერთობლივი საწარმოს შექმნა. ბათუმში გაიმართა მისი პრეზენტაცია, რომელსაც დაესწრო აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

„სან-ტრი“ — ასე ეწოდება ფორთოხლის წვენს, რომელმაც უკვე დიდი პოპულარობა მოიპოვა. მას ასხამენ ორიგინალურ ფოლგის ორასგრამიან პაკეტებში. პროდუქციისათვის ნედლეული ისრაელიდან შემოდის. მომავალში ერთობლივი საწარმო აპირებს მნიშვნელოვნად გააფართოოს თავისი ასორტიმენტი.

საქართველოს რესპუბლიკა
[illegible] სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ბანკის მისია თბილისში

საქართველოს ვიცე-[illegible] თემურ ბასილია[illegible] მსოფლიო ბანკის [illegible] ხელმძღვანელობით.

მისიაში შედიან სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველ[illegible] დარგის ექსპერტები.

მისიის ჩამოსვლის მიზანია, მოამზადოს სოფლის მეურნეობის მთელი სისტემის ფართო მიმოხილვა, რომლის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციათა პროექტი მსოფლიო ბანკისათვის.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
მიწისქვეშა მტკნარი და მინერალური წყლების ათვისებისა და წყლის ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი კომისიის შექმნის შესახებ

1. მრავალი უპირატესობის გამო (ნედლეულის სიუხვე, მრავალფეროვნება, ბუნებრიობა, სიიაფე, სტაბილურობა და დაბანდებული კაპიტალის უკუგების ხანმოკლე პერიოდი) მინერალური და მტკნარი სასმელი წყლების წარმოება განისაზღვროს რესპუბლიკის ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად, რაც გათვალისწინებულ იქნეს უცხოური და ადგილობრივი კრედიტების განაწილებისას.

2. საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პროცესში მტკნარი და მინერალური წყლების ენერგეტიკული და საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების, წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალური ათვისების, ამ მიმართულებით საერთაშორისო ურთიერთობის გაღრმავების, ბაზრების გაფართოების, წყლის ბიზნესის განვითარების დამაბრკოლებელი მიზეზების აღმოფხვრისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას მიწისქვეშა მტკნარი და მინერალური წყლების ათვისებისა და წყლის ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი კომისია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ავთანდილ მარგიანის ხელმძღვანელობით.

3. კომისიას დაევალოს:

კოორდინაცია გაუწიოს მიწისქვეშა მინერალური და მტკნარი წყლის რეზერვების გამოვლენის, შესწავლის, ექსპერტიზის, სერტიფიკაციის, სახელმწიფო აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის, რესურსებით სარგებლობის ლიცენზირების, რესურსების დაცვისა და ეფექტიანი გამოყენების საკითხებზე მუშაობას;

ხელი შეუწყოს საქართველოს მიწისქვეშა წყლების რესურსების ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნას საერთაშორისო გამოცდილებისა და მოთხოვნების შესაბამისად;

დაინტერესებულ და კომპეტენტურ სტრუქტურებთან ერთად შეიმუშაოს სათანადო კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტები;

შეიმუშაოს გაეროს, ევროგაერთიანების და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამის სამსახურებთან მინერალური და სასმელი მტკნარი წყლების ექსპლოატაციის, მარკეტინგის, სერტიფიკაციისა და სხვა საკითხებში თანამშრომლობის გეგმა;

როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ეფექტიანი გამოყენების მიზნით:

ა) შექმნას საინვესტიციო წინადადებათა საინფორმაციო ბანკი;

ბ) ხელი შეუწყოს წყლის ბიზნესის დარგში მარკეტინგულ კვლევებს და საინვესტიციო პროექტებისა და ბიზნეს-გეგმების შემუშავებას საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად;

გ) ფინანსთა სამინისტროსა და საბირჟო სტრუქტურებთან თანამშრომლობით აამუშაოს და სრულყოს წყლის ბიზნესის სფეროში ინვესტირების საფონდო მექანიზმი.

4. დამტკიცდეს მიწისქვეშა მტკნარი და მინერალური წყლების ათვისებისა და წყლის ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი კომისიის დებულება.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
თეიმურაზ გუგუნავას ლანჩხუთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თეიმურაზ გუგუნავა ლანჩხუთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 4 სექტემბერი.

• • •

თეიმურაზ ალექსანდრეს ძე გუგუნავა დაიბადა 1941 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ გვიმბალაურში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ლანჩხუთის რაიონში პასუხისმგებელ თანამდებობებზე, 1983 წლიდან — ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო 1992 წლიდან — გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ.

ჰყავს მეუღლე და შვილი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
ანზორ კილაძის ლანჩხუთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ანზორ კილაძე ლანჩხუთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პირადი განცხადების საფუძველზე.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 4 სექტემბერი.

ზამთარი კარზეა!
ყაირათიანად ვხარჯოთ ელექტროენერგია

კარს მომდგარი ზამთარი რომ ელექტროენერგიით მომარაგების თვალსაზრისით უმძიმესი იქნება, ეს უკვე დღეს ყველასათვის ცხადია. რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ოთარ ფაცაციასთან გამართული ოპერატიული თათბირი სწორედ მწვავე ენერგეტიკული კრიზისიდან გამოსავალი ღონისძიებების შემუშავებას ისახავდა მიზნად.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვიცე-პრემიერი ზურაბ კერვალიშვილი, ქალაქ თბილისის მერი ნიკოლოზ ლეკიშვილი, სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ენერგეტიკის საკითხებში რევაზ არველაძე, „საქენერგოს" ხელმძღვანელობა. პრობლემის მასშტაბურობიდან გამომდინარე, თათბირს ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქალაქის სამმართველოს წარმომადგენლები, დედაქალაქის რაიონების გამგებლები და პოლიციის განყოფილებათა უფროსები.

უმთავრესი საკითხი, რაზედაც მიაპყრო პრემიერ-მინისტრმა თათბირის მონაწილეთა ყურადღება, იყო ელექტროენერგიის მიწოდების იმ რეჟიმისა და გრაფიკის უმკაცრესი დაცვა, რომელიც უაღრესად კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე შეიმუშავა „საქენერგომ". ამ გრაფიკიდან ელემენტარული გადახვევისა და ელექტროენერგიის მცირეოდენი გადახარჯვის შემთხვევაშიც კი, ბატონ ოთარ ფაცაციას თქმით, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ყოველი მუშაკი პერსონალურად აგებს პასუხს. საკითხის ასეთი კატეგორიულობით დასმა განაპირობა ობიექტურმა რეალობამ — საინჟინრო აზროვნების დონეზე შეთანხმებული ლიმიტის ერთი შეხედვით უმნიშვნელო დარღვევაც კი ისედაც უმძიმეს ვითარებას საერთოდ უმართავად აქცევს.

პრემიერ-მინისტრმა ასევე კატეგორიულად დააყენა ლიმიტის დაუყოვნებლივ ამუშავების საკითხი, რაზეც „საქენერგომ" ოფიციალურად უნდა აცნობოს გამგეობებსა და პოლიციის განყოფილებებს. შარშანდელი ზამთრის მწარე გამოცდილებამ უფრო მეტი აქტუალობით წარმოაჩინა ქვესადგურების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა იკისროს. — ავტომატიანი ყაჩაღების შიშით გრაფიკის დარღვევა არარავის ეპატიება, — განაცხადა ბატონმა ფაცაციამ. — ამიტომ სამინისტრომ და ქალაქის სამმართველომ თავიანთი ძალების მეტი მობილიზაცია უნდა მოახდინონ, რათა აღკვეთონ მსგავსი შემთხვევები.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკის განუხრელი დაცვა დედაქალაქიდან უნდა დაიწყოს. მხოლოდ ამის შემდეგ გვექნება მორალური უფლება მოვკითხოთ რესპუბლიკის სხვა რაიონებს. ამისათვის კი თბილისის ელექტროენერგიით მომარაგების გრაფიკი განსაკუთრებული სიფრთხილითა და წინდახედულობით, ელექტროქურებზე დაგეგმილი რაიონების სპეციფიკისა და სხვა მნიშვნელოვანი მომენტების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს და უშეღავათოდ იქნეს დაცული. ცალკე გრაფიკი უნდა შედგეს ისეთი საარსებო ობიექტებისათვის, როგორებიცაა პურის საცხობები, პოლიკლინიკები და ა. შ. ამ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობას სისტემატურად გააკონტროლებს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულების შესაბამისად შექმნილი რესპუბლიკური შტაბი, რომელსაც თავად პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
დადგენილება
ერთიანი სატარიფო ბადის საფუძველზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების სრულყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტებისა და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სხვა უწყებების მუშაკთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შრომის ანაზღაურების მასტიმულირებელი როლის გაძლიერების მიზნით მოწესრიგდეს შრომის ანაზღაურების დონეთა თანაფარდობა შრომის სირთულისა და მუშაკთა კვალიფიკაციის შესაბამისად. შეიქმნას მექანიზმი ამ დამოკიდებულების შესანარჩუნებლად საბიუჯეტო სფეროში ერთიანი სატარიფო ბადის გამოყენების საფუძველზე.

ერთიანი სატარიფო ბადის გამოყენება სავალდებულოა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა ორგანოსათვის.

2. შემოღებულ იქნეს:

— შრომის ანაზღაურების ერთიანი სატარიფო ბადე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ყველა მუშაკისათვის, თანახმად № 1 დანართისა;

— დარგთაშორისი (გამჭოლი) თანამდებობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების თანრიგები, თანახმად № 2 დანართისა;

— ძირითად თანამდებობებზე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების თანრიგები, თანახმად № 3 დანართისა;

— მუშათა ტარიფები განისაზღვროს ერთიანი სატარიფო ბადის 1-8 თანრიგებით, განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური მუშებისა— 9 თანრიგით;

— დამლაგებლების, მეეზოვეების, მეგარდიორობეებისა და ა. შ. ტარიფები განისაზღვროს ერთიანი სატარიფო ბადის 1-3 თანრიგებით;

— მოადგილეების თანამდებობრივი [illegible] შესაბამისი ხელმძღვანელის თანამდებობრივი [illegible] 5 პროცენტით ნაკლები;

— მთავარი ბუღალტრების თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს ძირითადი განყოფილებების უფროსების თანამდებობრივი სარგოს დონეზე;

— ცენტრალიზებული ბუღალტერიის მთავარი ბუღალტრის თანამდებობრივი განაკვეთი განისაზღვროს ორგანიზაციის (რომელსაც ექვემდებარება) ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტით ნაკლები;

— აწარმოონ მუშაკთა პრემირება, რისთვისაც გამოიყენონ სახსრები შრომის ანაზღაურების არა უმეტეს ოთხი თვის ფონდის ოდენობით. მუშაკთა პრემიის კონკრეტული ოდენობა განსაზღვრონ მუშაობის შედეგში [illegible] მათი პირადი წვლილის შესაბამისად და მაქსიმალური სიდიდით არ იზღუდება;

— გაუწიონ მატერიალური დახმარება მუშაკებს, რისთვისაც გამოიყენონ სახსრები შრომის ანაზღაურების ერთი თვის ფონდის ოდენობით.

3. ერთიანი სატარიფო ბადის შემოღებასთან დაკავშირებით პირველი თანრიგის თვიური სატარიფო განაკვეთი განისაზღვროს რესპუბლიკაში შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ოდენობით.

4. ერთიან სატარიფო ბადეში არ შედის დანამატები, წანამატები, კანონით გათვალისწინებული სხვა დამატებითი ანაზღაურებები.

5. შეუნარჩუნდეთ დადგენილი თანამდებობრივი განაკვეთები იმ მუშაკებს, რომლებსაც ერთიანი სატარიფო ბადის დანერგვით უმცირდებათ არსებული თანამდებობრივი სარგო.

6. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, დეპარტამენტებს და სხვა რესპუბლიკურ უწყებებს ერთი კვირის ვადაში წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საჭირო გაანგარიშებები შრომის ანაზღაურების ფონდის დასაზუსტებლად.

7. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

— ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები გამჭოლი (დარგთაშორისი) თანამდებობებისათვის;

— ჩაატაროს აუცილებელი ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური მუშაობა ერთიანი სატარიფო ბადის შემოღებასთან დაკავშირებით.

8. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარმოადგინოს ატესტაციის დებულება და ჩატარების წესი.

9. ატესტაციის შედეგად დადგინდეს მუშაკთა შრომის ანაზღაურების თანრიგები ერთიანი სატარიფო ბადის შესაბამისად.

10. ერთიანი სატარიფო ბადით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების თანაფარდობის კოეფიციენტები ძალაში შევიდეს 1994 წლის 11 სექტემბრიდან.

11. აღნიშნული დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სახელმწიფო მმართველობის ორგანოების აპარატის მუშაკთა შრომის ანაზღაურების დროებითი პირობების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 29 მაისის № 610 დადგენილება.

12. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებისადმი დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს და შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია.

ქ. თბილისი, 1994 წლის 5 სექტემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
დადგენილება
ერთიანი სატარიფო ბადის საფუძველზე საბიუჯეტო სფეროს მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო სფეროს მუშაკთა შრომის ანაზღაურების სრულყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. ჯანმრთელობის, განათლების, სოციალური დაცვის, კულტურის, მეცნიერებისა და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შრომის ანაზღაურების მასტიმულირებელი როლის გაძლიერების მიზნით მოწესრიგდეს შრომის ანაზღაურების დონეთა თანაფარდობა შრომის სირთულისა და მუშაკთა კვალიფიკაციის შესაბამისად. შეიქმნას მექანიზმი ამ დამოკიდებულების შესანარჩუნებლად საბიუჯეტო სფეროში ერთიანი სატარიფო ბადის გამოყენების საფუძველზე.

ერთიანი სატარიფო ბადის გამოყენება სავალდებულოა ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, რომლებიც იმყოფებიან საბიუჯეტო დაფინანსებაზე.

2. შემოღებულ იქნეს:

— შრომის ანაზღაურების ერთიანი სატარიფო ბადე საბიუჯეტო სფეროს მუშაკთათვის, თანახმად № 1 დანართისა;

— დარგთაშორისი (გამჭოლი) თანამდებობის მუშაკების შრომის ანაზღაურების თანრიგები, თანახმად № 2 დანართისა;

— ძირითად თანამდებობებზე მომუშავე მუშაკების შრომის ანაზღაურების თანრიგები, თანახმად № 3 დანართისა.

— დაევალოს საბიუჯეტო სფეროს ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს, მუშათა ტარიფები განსაზღვრონ ერთიანი სატარიფო ბადის 1-8 თანრიგებით, განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური მუშაკებისა კი მე-9 თანრიგით;

— დამლაგებლების, მეეზოვის, მეგარდიორობის ტარიფები განსაზღვრონ ერთიანი სატარიფო ბადის 1—3 თანრიგებით;

— მოადგილეების თანამდებობრივი სარგო განსაზღვრონ შესაბამისი ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტის დაკლებით;

— საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მთავარი ბუღალტრების თანამდებობრივი სარგო განსაზღვრონ ძირითადი განყოფილებების (საგეგმო-საფინანსო და ა. შ.) უფროსების თანამდებობრივი სარგოს დონეზე;

— სასწავლო დაწესებულებების (სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების, კოლეჯების, ლიცეუმების) მთავარი ბუღალტრების თანამდებობრივი განაკვეთი განსაზღვრონ ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანამდებობრივ სარგოზე 10-15 პროცენტის დაკლებით.

შეუნარჩუნდეთ დადგენილი თანამდებობრივი განაკვეთები იმ მუშაკებს, რომლებსაც ახალი კოეფიციენტების დანერგვით უმცირდებათ არსებული თანამდებობრივი სარგო.

3. ერთიანი სატარიფო ბადის შემოღებასთან დაკავშირებით პირველი თანრიგის თვიური სატარიფო განაკვეთი განისაზღვროს რესპუბლიკაში შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ოდენობით.

4. ერთიან სატარიფო ბადეში არ შედის დანამატები, წანამატები, კანონით გათვალისწინებული სხვა დამატებითი ანაზღაურებები.

5. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს ერთი კვირის ვადაში უზრუნველყონ ერთიანი სატარიფო ბადის დანერგვისათვის საჭირო სახსრების გაანგარიშება და შინაგანი რეზერვების გათვალისწინებით წარადგინონ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში.

6. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და ერთი კვირის ვადაში წარუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საბიუჯეტო დაფინანსებაზე არსებული დარგების მუშაკთა თანამდებობების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და დაიყვანონ ისინი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებამდე.

7. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

— ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები დარგთაშორისი (გამჭოლი) თანამდებობებისათვის;

— ჩაატაროს აუცილებელი ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური მუშაობა ერთიანი სატარიფო ბადის შემოღებასთან დაკავშირებით.

8. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარმოადგინოს ატესტაციის დებულება და ჩატარების წესი.

9. ატესტაციის შედეგად დაწესდეს მუშაკთა შრომის ანაზღაურების თანრიგები ერთიანი სატარიფო ბადის შესაბამისად.

10. ერთიანი სატარიფო ბადით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების თანაფარდობის კოეფიციენტები ძალაში შევიდეს 1994 წლის 11 სექტემბრიდან.

11. აღნიშნული დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს შრომის ანაზღაურების შესახებ საბიუჯეტო სფეროს ორგანიზაციებისათვის არსებული დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი.

12. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულებისადმი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია.

ქ. თბილისი, 1994 წლის 5 სექტემბერი.

ახალი კანონპროექტები
კორუფციასთან ბრძოლას — სამართლებრივი საფუძველი!

(დასასრული)

— რა პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ასეთი სამართალდარღვევებისათვის კანონპროექტი ანუ, როგორც იურისტები იტყვიან, როგორია სანქციები?

— სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესასრულებლად უფლებამოსილი პირის მიერ რომელიმე ამ სამართალდარღვევის ჩადენა, თუ ეს სამართალდარღვევა უკვე სისხლის სამართლის დანაშაულს არ წარმოადგენს, იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას. ხოლო ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენა სამსახურიდან დათხოვნას, გათვალისწინებულია სხვა სანქციებიც.

— ეს რაც შეეხება კორუფციის პირობების შემქმნელ სამართალდარღვევებს. საკუთრივ კორუფციული სამართალდარღვევების რა ფორმებია გათვალისწინებული?

— კორუფციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულებაზე უფლებამოსილი პირების მიერ ამ საქმიანობისას ნებისმიერი დამატებითი გასამრჯელოს მიღება ფულის სახით, მომსახურეობის ან სხვა ფორმით სახელმწიფო ორგანოებიდან, ორგანიზაციებიდან, საწარმოებიდან, ასევე არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციებიდან; საჩუქრების და სხვა მომსახურების მიღება სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით; უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიწვევების მიღება გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიწვევა ხდება ახლო ნათესავების მიერ ან საქართველოს რესპუბლიკის და უცხოეთის სახელმწიფო ორგანოებს შორის ხელშეკრულების საფუძველზე; კანონით გაუთვალისწინებელი უპირატესობების გამოყენება კრედიტების, სესხის მიღებაში, ფასიანი ქაღალდების, უძრავი და სხვა ქონების შეძენაში და სხვა.

— როგორია სანქციები?

— კორუფციული ხასიათის სამართალდარღვევის ჩადენა, თუ ეს ქმედება არ ქმნის სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობას, კანონპროექტის მიხედვით იწვევს სამსახურიდან დათხოვნას ან სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულებისაგან სხვაგვარ განთავისუფლებას კანონით დადგენილი წესით.

— როგორ აგებენ პასუხს ის პირები, ვინც უკანონო გასამრჯელო მისცეს სახელმწიფო ფუნქციების შესრულებაზე უფლებამოსილ პირებს?

— კანონპროექტით გათვალისწინებულია დიდი ოდენობით ჯარიმები, გადაცემული ქონების კონფისკაცია; თუ ასეთი ქმედობა ჩადენილია განმეორებით სამი წლის განმავლობაში, იურიდიული პირის საქმიანობა შეიძლება შეწყვიტონ კანონით დადგენილი წესით.

— ინტერვიუს დაწყებისას თქვენ ილაპარაკეთ იმაზე, რომ კანონპროექტში ძირითადი აქცენტი გადატანილია კორუფციის თავიდან აცილების ღონისძიებებზე. გასაგებია, რომ კორუფციისათვის პირობების შემქმნელ სამართალდარღვევებთან ბრძოლა კორუფციული სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაცაა. მაგრამ ერთიც და მეორეც უფრო დაცვის ღონისძიებებს განეკუთვნება, ვიდრე საკუთრივ მოწესრიგების.

— თქვენი მინიშნება გასაგებია. სამართალდარღვევებთან ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი ბრძოლა, ცხადია, მეორად ხასიათს უნდა ატარებდეს. პირველადი სწორედ მომწესრიგებელი ნორმებია. ახლა მოგახსენებთ, თუ რას ვგულისხმობ ამ მომწესრიგებელ ღონისძიებებში.

არსებითია სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის მოწესრიგება, ამ საქმიანობის კანონიერება. შემდეგ, კონტროლის უზრუნველყოფა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე. ზრუნვა სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესასრულებლად უფლებამოსილი პირების მაღალი ხელფასებით და შეღავათებით უზრუნველყოფისათვის; მათი უფლებების დაცვა სახელმწიფოს მიერ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა სპეციალური საფინანსო კონტროლის გამოყენება იმ მიზნით, რათა არ მოხდეს უკანონოდ დაგროვილი ფასეულობების და საშუალებების ლეგალიზაცია; სახელმწიფო ორგანოებისათვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის და სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულებაზე უფლებამოსილი პირებისათვის ისეთი სამეწარმეო საქმიანობის აკრძალვა, რაც არ შეესაბამება მათ სახელმწიფოებრივ ფუნქციებს, მიზნებს, ამოცანებს.

— უპრიანია დაწვრილებით შევჩერდეთ საფინანსო კონტროლის ღონისძიებებზე და სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამეწარმეო საქმიანობის შეთავსების საკითხზე.

— ვიდრე კონკრეტულ ღონისძიებებზე მოგახსენებდეთ, საჭიროა ითქვას ერთი პრინციპული დებულების შესახებ, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. იგულისხმება, რომ ადამიანი, თუ ის თანხმობას ან პრეტენზიას აცხადებს სახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულებაზე, ნებაყოფლობით თავის თავზე იღებს იმ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია ისეთ ქმედებათა ასაკვეთად, როგორიცაა თანამდებობის პირის სამართლებრივი მდგომარეობის და ავტორიტეტის გამოყენება პირადი, ჯგუფური ან სხვა არასამსახურებრივი ინტერესებისათვის. ამიტომ იგი ნებაყოფლობით უნდა დაექვემდებაროს სპეციალურ საფინანსო კონტროლს. აქ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ორი პერიოდი. პირველი, როცა პირი უნდა შეუდგეს სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულებას და მეორე, როცა იგი უკვე ასრულებს სახელმწიფოებრივ ფუნქციებს.

კერძოდ, პირები, რომლებიც პრეტენზიას განაცხადებენ სახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულებაზე თავიანთი თუ სხვისი ინიციატივით (შეგვიძლია მათ პრეტენდენტი პირები ვუწოდოთ), საგადასახადო ინსპექციაში წარადგენენ მონაცემებს იმ შემოსავლებზე, უძრავ და მოძრავ ქონებაზე, რომლებიც მათ გააჩნიათ და რომელთა ღირებულება აღემატება ხუთი ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტს საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ ფულად ერთეულში. საგადასახადო ინსპექციაში უნდა იქნეს წარდგენილი მონაცემები ბანკებში არსებულ ანაბრებზე, ფასიან ქაღალდებზე და ფინანსური ხასიათის ვალდებულებებზე, რომლებიც ეხებათ როგორც მათ, ასევე მათი ოჯახის წევრებს. პრეტენდენტები მომავალ სამუშაო ადგილზე წარადგენენ ცნობას, რომ საგადასახადო ინსპექციამ მიიღო აღნიშნული მონაცემები.

რაც შეეხება სახელმწიფო მოსამსახურეებს, თუ მათთან გათანაბრებულ პირებს, ისინი საგადასახადო ინსპექციაში ყოველწლიურად წარადგენენ მონაცემებს შემოსავლებზე (როგორც საკუთარი, ისე ოჯახის წევრებისა), რომელიც მოიცავს ყველა მატერიალური და არამატერიალური შემოსავლების ფულადი სახით შეფასებას და მონაცემებს უძრავ და მოძრავ ქონებაზე, ბანკში ანაბრებზე, ფასიან ქაღალდებზე, რომლის ღირებულება აღემატება ორი ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტს საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ ფულად ერთეულში; ეს პირები სამუშაო ადგილზე წარადგენენ ცნობას, რომ საგადასახადო ინსპექციამ ასეთი ცნობები მიიღო.

თანამდებობის პირები, აგრეთვე, ვალდებული არიან დეკლარაციაში მიუთითონ უშუალო ან არაპირდაპირი მონაწილეობის შესახებ აქციონერის ან თანამესაკუთრის სახით კომპანიებსა და ფონდებში, საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული საკუთრების შესახებ; თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრების მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული საჩუქრების, მატერიალური სიკეთის ჩამონათვალი მიღების წყაროს მითითებით.

კანონპროექტის მიხედვით პასუხსაგები მდგომარეობის მქონე თანამდებობის პირთა შემოსავლების შესახებ მონაცემები ყოველწლიურად უნდა ქვეყნდებოდეს ოფიციალურ გამოცემებში ან ადგილობრივ პრესაში, პირის თანამდებობრივი სტატუსის შესაბამისად. გამოქვეყნებული უნდა იქნეს ასევე მონაცემები იმ პირთა შემოსავლების შესახებ, რომლებიც ზოგიერთი პასუხსაგები თანამდებობების პრეტენდენტები არიან, მათი კანდიდატურების წარმოდგენისას.

— დღევანდელ პირობებში, როცა ქვეყანაში დაწყებულია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამეწარმეო საქმიანობის შეთავსების საკითხი.

— ჯერ, ალბათ, უნდა ითქვას თანამდებობის პირის საქმიანობისა და სამეწარმეო საქმიანობის შეთავსების შესახებ; შემდეგ იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს მეწარმე მაშინ, თუ მას სახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულება დაეკისრება. კანონპროექტის მიხედვით, თანამდებობის პირებს ეკრძალებათ პირადად ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამდებობის პირები ვერ იქნებიან ისეთი სამეწარმეო საზოგადოებების წევრები, როგორიცაა სოლიდარული პასუხისმგებლობის, კომანდიტური საზოგადოებები. მათ ეკრძალებათ დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ კონცერნში საწარმოს მმართველობის ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას კუთვნილი აქციების (პაის, მონაწილის წილის) საშუალებით, იმის მიუხედავად, თუ როგორია საწარმო საკუთრების ფორმის მიხედვით.

ბუნებრივია, დგება პრობლემა, თუ როგორ მოიქცეს პირი მაშინ, თუ მას აქვს ფასიანი ქაღალდები, ქონება და სხვა შენატანი საწარმოებში და დაეკისრა სახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულება. ასეთი პირი სამსახურის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში მოვალეა კუთვნილი ფასიანი ქაღალდები, ქონება, შენატანები, რომელთა გამოყენება შემოსავალს იძლევა, გადასცეს რწმუნებით საკუთრებაში (ტრასტი).

სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესასრულებლად უფლებამოსილი პირი, თუ აღნიშნული წესების დარღვევით ათავსებს სამეწარმეო საქმიანობას, ექვემდებარება სამსახურიდან დათხოვნას და არ შეიძლება განმეორებითი უფლებამოსილებით შეასრულოს სახელმწიფოებრივი ფუნქციები, ვიდრე ამ საქმიანობას ეწევა.

— არ მიგაჩნიათ, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეს ღონისძიებები კიდევ უფრო გაართულებს ჩვენს ისედაც დაულაგებელ პოლიტიკურ სინამდვილეს, სახელმწიფო სამსახურს ჩამოაშორებს „ენერგიულ ადამიანებს", რომლებსაც საკუთარი თავისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც საქმის გაკეთება შეუძლია?

— ლოგიკური კითხვაა. მაგრამ უნდა შევთანხმდეთ ერთი აუცილებელი პრობლემის შესახებ. ვერავითარი სახელმწიფო სამსახური ვერ იტანს ორმაგი მორალით ცხოვრებას. პოლიტიკა სულაც არ არის ბინძური საქმე, როგორც წამდაუწუმ ამბობენ ხოლმე. „რესპუბლიკა" სახალხო საქმეს ნიშნავს, საზოგადო საქმეს, საქვეყნო საქმეს. სახელმწიფო სამსახური საქვეყნო საქმის სამსახურია. ჯერ კიდევ ანტიკური პოლიტიკური მოძღვრებები ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ სახელმწიფო მმართველობის ნორმალურ და გაუკუღმართებულ ფორმებს. ეს ფორმები სწორედ იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუ რომელ ინტერესს ემსახურებოდნენ ისინი — კერძოს თუ საზოგადოებრივს. საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურებოდა მონარქია, არისტოკრატია, დემოკრატია; შესაბამისად მათი გაუკუღმართებული ფორმებია ტირანია, ოლიგარქია, ოქნოკრატია. ასე ფიქრობდა პლატონი, არისტოტელე, პოლიბიოსი. ეს უნივერსალური კანონზომიერებაა. კანონმა უნდა შექმნას იმის მყარი გარანტიები, რომ ყველამ თავისი საქმე აკეთოს, მეწარმემ — მეწარმის, სახელმწიფო მოსამსახურემ — სახელმწიფოსი. ამ კანონზომიერების აღრევას სახელმწიფოებრივი ცხოვრება ვერ ითმენს.

— ამ მიზანს ემსახურება კანონპროექტი „სახელმწიფო სამსახურის შესახებ"?

— დიახ, კანონპროექტით გათვალისწინებული ნოვაციების დედააზრი სწორედ ის არის, რომ ქვეყანაში შეიქმნას პროფესიული სახელმწიფო მოსამსახურეების კორპუსი და სახელმწიფოს მართვის პროცესში დაცული იქნას როგორც მოსამსახურეების, ისე მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები.

კანონპროექტით აღიარებულია სახელმწიფო მოსამსახურეთა პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი. პოლიტიკური პარტიების, მთავრობების ცვალებადობამ ხელი არ უნდა შეუშალოს ქვეყნის კომპეტენტურ მართვას, ამა თუ იმ უწყების შინაგან სტაბილურობას. სახელმწიფო სამსახური სტაბილური უნდა იყოს მაშინაც კი, თუ ქვეყნის სათავეში რადიკალური პოლიტიკური შეხედულებების მქონე ლიდერი ექცევა. მმართველი პარტიის დამარცხება ინგლისში იწვევს ასამდე თანამდებობის პირის შეცვლას, მაგრამ ვერ ცვლის სახელმწიფო სამსახურს. სახელმწიფო მოსამსახურე უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს და არა ცალკეულ პარტიას.

— თუ პროფესიულ სახელმწიფო მოსამსახურეზეა ლაპარაკი, გამოდის, რომ ჩვენ გვექნება „რანგთა ტაბელიც".

— კანონპროექტი „სახელმწიფო სამსახურის შესახებ" ერთმანეთისაგან ასხვავებს პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებს. პოლიტიკურია ის თანამდებობები, რომლებზედაც პირები აირჩევიან ან დაინიშნებიან ქვეყნის ძირითადი კანონით განსაზღვრული წესით. ეს კანონპროექტი ძირითადად აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირებს ეხება.

აქ გათვალისწინებულია თანამდებობის რანგირება და საკლასო ჩინები. თანამდებობების და წოდებების რანგირება ხელს შეუწყობს სახელმწიფო მოსამსახურეთა მასის გარდაქმნას ორგანიზებულ და იერარქიულად დანაწილებულ ქვედანაყოფებად.

პროექტით გათვალისწინებული თანამდებობათა კლასიფიკაცია ძირითადად ყურადღებას ამახვილებს არა შემსრულებელზე, არამედ საკუთრივ ორგანიზაციულ სტრუქტურაზე მისი ქვედანაყოფებით — თანამდებობებზე და პირიქით, წოდებათა კლასიფიკაცია ძირითად აქცენტს ამახვილებს შემსრულებელზე და მის ისეთ მონაცემებზე, როგორიცაა განათლება, მუშაობის სტაჟი, კვალიფიკაცია, პირადი დამსახურება. გარკვეული წოდების მქონე სახელმწიფო მოსამსახურეს ძალუძს შესაბამის თანამდებობაზე პრეტენზიის გაცხადება, და ხელმძღვანელობა ვალდებულია ანგარიში გაუწიოს მის პრეტენზიებს. შრომით საქმიანობაში დასაქმებულ პირთა შორის მხოლოდ მოსამსახურეს აქვს თანამდებობის დაკავების უფლება. თანამდებობის სტატუსიდან მომდინარეობს მისი დამკავებელი პირის ყოველგვარი უფლებამოსილება. დაკავებული თანამდებობა განსაზღვრავს მუშაკის მდგომარეობას სამსახურეობრივ იერარქიაში, ხელფასს და შემდგომ სამსახურეობრივ დაწინაურებას.

თანამდებობრივი კლასიფიკაციის მნიშვნელოვანი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მასზე დაყრდნობით შესაძლებელი იქნება სახელმწიფო მოსამსახურეთა დაწინაურების ინსტიტუტის ნორმალური ფუნქციონირება, რომელიც მიმდინარეობს მუშაკის მიერ მაღალი წოდების მინიჭების კვალდაკვალ. წოდება გარკვეული დონის თანამდებობის დაკავების უფლებას იძლევა — ამაში მდგომარეობს მისი დანიშნულება. პირი თანამდებობაზე ინიშნება უფროსის შეხედულებისდამიხედვით, მაგრამ წოდების გათვალისწინებით. ამით აღიკვეთება თვითნებობა და დაცულია დაწინაურებაზე სახელმწიფო მოსამსახურის უფლება.

კანონპროექტი მადისციპლინირებელ ზემოქმედებას მოახდენს ყველა დონის ადმინისტრაციაზე. იგი ითვალისწინებს სოციალური კონტროლის მექანიზმს ისეთი მოვლენების ასაკვეთად, როგორიცაა ადმინისტრაციული თვითნებობა, კორუფცია, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. არამართლზომიერი მოქმედებისათვის, დარღვევის ხასიათისა და ხარისხის შესაბამისად, სახელმწიფო მოსამსახურეს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პროექტი ითვალისწინებს მოსამსახურის პასუხისმგებლობას თავისი სამსახურეობრივი მოვალეობების შეუსრულებლობისა ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

პროექტში თავისი შემდგომი განვითარება პოვა კანონმდებლობაში უკვე დამკვიდრებულმა თანამდებობის ვადიანობის პრინციპმა, რაც მოსამსახურის გადადგომის უფლებასთან ერთად, სახელმწიფო მექანიზმის დემოკრატიზაციის ერთ-ერთი ბერკეტი იქნება. დღეს ბევრს ლაპარაკობენ გადადგომის შესახებ, მაგრამ გარკვეული არ არის, რით განსხვავდება გადადგომა თანამდებობიდან გათავისუფლებისაგან. გადადგომა სახელმწიფო სამსახურის შეწყვეტის დამოუკიდებელი ინსტიტუტია. მისი გაიგივება დათხოვნასთან ან შრომითი საქმიანობის შეწყვეტის სხვა სახეებთან, დაუშვებელია.

— ვინ ხელმძღვანელობს სახელმწიფო სამსახურის საკადრო პოლიტიკას, თუ ეს სამსახური პოლიტიკურად ნეიტრალურია?

— ინგლისის, აშშ-ს, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო სამსახურის რეფორმის საწყისი ნაწილი იყო სპეციალური მმართველობითი სტრუქტურის შექმნა, რომელიც წარმართავს რეფორმის განხორციელების მეთოდურ ხელმძღვანელობას, მისი გატარების კონტროლს. სახელდობრ, ასეთი მმართველობითი სტრუქტურა — სახელმწიფო სამსახურის მთავარი სამმართველო გათვალისწინებულია წარმოდგენილ კანონპროექტში. იგი მოწოდებული იქნება ეტაპობრივად გაატაროს სამოქალაქო სამსახურის რეფორმა, შეიმუშაოს საკადრო პოლიტიკა და საკადრო სტანდარტები.

სახელმწიფო მოსამსახურეთა კვალიფიციური კორპუსის შექმნის, ნორმატიული ბაზის დაზუსტებისა და სრულყოფის კვალდაკვალ, მომავალში, სახელმწიფო სამსახურის რეფორმის დამაგვირგვინებელ სტადიაზე, შესაძლებელი იქნება სახელმწიფო სამსახურის შესახებ მთელი ნორმატიულ-სამართლებრივი მასალის კოდიფიკაცია. ყველა საკანონმდებლო აქტის ერთში თავმოყრა და სამოქალაქო სამსახურის კოდექსის შემუშავება, რომლის ნორმებიც მოახდენენ რესპუბლიკაში სახელმწიფოებრივ-სამსახურეობრივი ურთიერთობების მთელი წრის რეგლამენტირებას.

ესაუბრა
ნიკა ჯაში.

პარლამენტარის აზრი

მხარი დავუჭიროთ ზოგადსაკაცობრიო ინტერესებიდან გამომდინარე პოზიციას!

**ელოს ამჟამინდელ ვი-
მძღოლობა განუზომელ
ლობას აკისრებს რე-
ს თითოეულ მოქალა-
ისად დიდია დღეს
სიტყვის ფასი. საერთო
ენერგიისა და ძალის-
თლიანებას ახლა გან-
ლი მნიშვნელობა ენი-
ის განმტკიცებისათვის,
ისა და მომავლისათვის
მამოძრავებელი ბე-
მნიშვნელობა ეძლევა.
არ შეიძლება არავითა-
ლითმაქცობა, ფარისევლო-
ტიკური თუ პიროვნუ-
ბით აზროვნება. ურ-
უნდა შეერწყას ყოვე-
ინტელექტუალური და ფი-
შესაძლებლობები და ასე
რუდუნებით ვძერწოთ
სამშობლოს სახელმწიფო-
ძლიერე, დამოუკიდებ-
სუვერენიტეტი.**

უმძიმეს რეალობას
ფერებით წარმოსახ-
სჭირდება. ყველანი ნა-
გრძნობთ ამას. მთავარია
გავაანალიზოთ იგი და
ერთეთ მწარე სინამდვი-
პირისპირ ყოფნისას. თუ
არ ითქვა, სწორი
ვნაც შეუძლებელი გახ-
ვეულავითარ ტრაგედიის ვერ
იმაში, რომ ვაღიაროთ
ტება, ვის მიერაც უნდა
იგი ამოცნობილი.

ჩვენი ქვეყნის მწარე,
სინამდვილე, პოლიტი-
დაპირისპირება და ქიშპო-
იმისა, რომ რესპუბ-
საზოგადოებრიობის მნიშ-
ნაწილს ვერ გამოუმუ-
სწორი ორიენტაციის
და ვერ გაუთავისებია მა-
ლი გზის არჩევანი, რომე-
რთხელ და სამუდამოდ გა-
ჩამორჩენა-გაჭირვე-

შეიძლება იმის უარყოფა,
სწორედ საქართველოში შე-
უმძიმესი ვითარების გა-
ნმა სახელმწიფო პოლი-
მნიშვნელოვანი მარცხი გა-
რომ ჩვენმა დამოუკი-
ობამ აშკარად უკან დაიხია,
ეროვნულ ღირსებათა გა-
ული ფასეულობანი ერ-
დეგრადაციას განიცდის?
ლაპარაკი იძულებითი
ვეტილებების მიღების აუ-
ლობაზე, რაც სათანადო
ასუმს ხელისუფლების ავ-
ტეტს. სჯობს ჩამორჩენის
ბს ჩვენსავე შეცდომებში
ეთ და უფრო ნაყოფიერი,
ული მუშაობისთვის ვამ-
ეთ ნიადაგს. ჩვენი დღე-
ლი მშვიდობაც, თუ ამას
ობა ეთქმის, დამარცხებუ-
აქსირებული, ტერიტორი-
თეული, დასჯილი ქვეყნის
უფრო, ვიდრე თავისუფ-
აპოვებული სახელმწიფოს

ყოველივე ეს როდი ნიშნავს,
უარვყოთ საკუთარი შეხე-
ბები და მისწრაფებანი.
ლა სამშობლოს საკეთილ-
იდეების განსახორციელე-
საჭირო და აუცილებელია,
ეს უნდა ხდებოდეს ისე-
რავალტანჯული ქვეყნისათ-
სასარგებლო და მისაღები
ებით, როგორიც საქართ-
. იდეამ, აზრმა უნდა გაიმარჯვოს სხვა იდეასთან, აზრთან ჭეშმარიტ შემოქმედებით ჭიდილში და არა ძალისმიერ, გამანადგურებელ შეტაკებათა ორომტრიალში. ამა თუ იმ მხარის პოლიტიკურ წარმატებას მხოლოდ აღმშენებლობა და სახელმწიფოებრივი ძლიერების განმტკიცება უნდა მოჰქონდეს ქვეყნისათვის და ნგრევას და ქაოსს აცილებდეს.

დღეს საკუთარი პოლიტიკური კრედოს განხორციელებისათვის დემოკრატიული პრინციპების ჩარჩოებში ზრუნვის საშუალება ყველას აქვს. ამაოა წუწუნი ამ მხრივ რამე დიქტატორულ შეზღუდვებსა და მარწუხებზე. ვისაც უნარი აქვს, ის შეძლებს კიდეც მოიპოვოს მასების ნდობა და მხარდაჭერა, რაც პოლიტიკური გამარჯვების საწინდარია. თუ მაინცდამაინც მოღვაწეობის პირობების შექმნაზე მიდგა საკითხი, იგი ყველაზე ნაკლებად პარლამენტის მაჟორიტარული წესით არჩეულ დეპუტატებს აქვთ. რაოდენობის მიხედვით პარლამენტის წევრთა ეს საკმაოდ დიდი ბირთვი თავის პოტენციური უნარის გამოხატვის საშუალებას მოკლებულია, ვინაიდან ისინი არ წარმოადგენენ არცერთ პარტიასა და გაერთიანებას, განყენებულ მდგომარეობაში მყოფთა შთაბეჭდილებას ტოვებენ, ხშირად მხოლოდ საკუთარი, ანუ ერთი კაცის პოზიციას გამოხატავენ და გამოკვეთილი, პრინციპული მოქმედება არ ძალუძთ. ყოველივე ეს როდი ნიშნავს, რომ „მაჟორიტარებმა“ ჩვენთვის ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, მიკროკლიმატის შექმნა სხვებს გადავაბრალოთ და დამნაშავის ძებნაში საცეცხლე წერტილების მოწყობა და ხელოვნური სამიზნეების გამოგონება დავიწყოთ. რა თქმა უნდა, საჭიროა ჩვენი მოღვაწეობის გასააქტიურებლად უფრო მკვეთრი და ქმედითი ფორმების გამონახვა, მაგრამ ესეც მხოლოდ არსებული წესებისა და ზომიერების ფარგლებში უნდა მოხდეს.

დაშვებული შეცდომების სხვისათვის გადაბრალება უფრო ადვილია, ვიდრე მისი ვაჟკაცური და გულწრფელი აღიარება. როცა ურემი გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. მაგრამ ეს ურემი განა ყველამ ერთად არ გავმართეთ და სახიფათო გზას გავუყენეთ? განა ჩვენ ერთად არ ვაყალიბებდით და ვადასტურებდით სახელმწიფო სტრუქტურებს? განა დღევანდელი ვითარების შემოქმედნი ყველანი ერთად არა ვართ? როცა ქვეყანა იწვის და იდაგება, ჩრდილში გასვლა და იქიდან პასკვილების ძახილი არც თუ სანაქებო საქმეა. მთავარია, ყველამ ერთად გამოვიღოთ ხელი და ჩვენი უნარი შევაშველოთ ქვეყნის გადარჩენის საქმეს. სახელმწიფოს მეთაურის პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ერის წინაშე განუზომელი და განსაკუთრებულია, ამას მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ მას ჩვენი ცოდვებიც შევახოცოთ, მეტისმეტად უღმერთობა იქნებოდა. არა და დღეს ზოგიერთთა ქმედება ამის მკაფიო მცდელობად მესახება. სახელმწიფოს მეთაურს თავისი მძიმე ხვედრი და ჭაპანწყვეტა ეყოფა, ჩვენც რომ არ დავუმატოთ სატკივარი!

იქნებ მართლაც განუზომელი უფლებები აქვს სახელმწიფოს მეთაურს ან გადაჭარბებულია მისი აპარატის სამოქმედო არეალი? შეიძლება ამაზე მსჯელობა, ყოველივეს სრულყოფა და დახვეწა. მეთაურის უფლებებიც შეიძლება შეიკვეცოს და აპარატის სამოქმედო არეალიც შეიზღუდოს, მაგრამ ყოველივე ამას უნდა მივუსადაგოთ ჩვენი ტრადიციული დარბაისლური ქცევა, სიდინჯე და ურთიერთის პატივისცემა.

სახელმწიფოს მეთაურის პოსტისა და მისი აპარატის სრულ გაუქმებაზე ლაპარაკი ამჟამად ერთგვარ ახირებად მიმაჩნია, ხოლო ახლა საქართველოში საპარლამენტო მმართველობის დამკვიდრება ახალი შეცდომა იქნებოდა. ასეთ რთულ ვითარებაში თვით პარლამენტს გაუჭირდება მუშაობა, პარლამენტის წევრთა მრავალმხრივი დაპირისპირებისა და აზრთა სიჭრელის გამო უკიდურესად შეფერხდება პარლამენტური მმართველობა, სხვას რომ თავი დავანებოთ, ბლოკირებული იქნება ყველა სასიცოცხლო საკითხის განხილვა და დამტკიცება, რაც, თავის მხრივ, შეასუსტებს სამთავრობო სტრუქტურების ქმედითობას, შეაყოვნებს ეკონომიკურ რეფორმებს, ისედაც რომ ჩამორჩა და დაგვიანდა ჩვენს რესპუბლიკაში. რეფორმების დაუჩქარებლად კი არ შეიძლება ქვეყნის ახლებურ ყაიდაზე მოწყობა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა შეუძლებელია ძირითადი სამრეწველო და სასოფლო ობიექტების პრივატიზაციის, მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის, ფასების ლიბერალიზაციის, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მოწესრიგების, ბანკების მუშაობის რეორგანიზაციის, საგადასახადო და საბაჟო სისტემების საქმიანობის სრულყოფის მიუღწევლად. რა თქმა უნდა, ამ პროცესებს თან უნდა სდევდეს სოციალური დაცვის მექანიზმის მოწყობა და ამოქმედება.

პოლიტიკურ-ეკონომიკური იზოლაციის პირობებში ჩამორჩენიდან თავის დაღწევა შეუძლებელია. ამას ახლა ყველა კარგად გრძნობს და მხარს უჭერს ეკონომიკური კავშირების აღდგენას ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და ყოფილი სოციალისტური სისტემის ქვეყნებთან, მათ ინდუსტრიულ და აგროსამრეწველო ცენტრებთან. საჭიროა ფართო, სრულმასშტაბიანი, ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულებების დადება ყველა საიმედო და ჩვენთვის სასარგებლო პარტნიორთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთობების აღდგენა რუსეთთან, მაგრამ მათი დახმარების მიღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, ბელორუსიის ახალი პრეზიდენტის სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ იგი არ შელახავს ჩვენი რესპუბლიკის სუვერენიტეტს. ნებსით თუ უნებლიედ, ხშირად ისმება საგულისხმო კითხვები, მაგრამ ისინი უპასუხოდ რჩება, ვითარცა ღაღადისი უდაბნოსა შინა. ხომ საინტერესოა, რატომ არ უნდა მოსთხოვოს რუსეთს საქართველომ მისი კუთვნილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილი? რატომ უნდა ექლეოდეს შეღავათიან პირობებში ვრცელი ქართული ტერიტორიები რუსეთის არმიის სამხედრო ბაზების მოსაწყობად? ხომ არ არის ბევრი სამი მძლავრი უცხო სამხედრო ბაზის არსებობა ჩვენისთანა პატარა რესპუბლიკაში? რისთვის უნდა იხდიდეს „ესენგეს“ სასაზღვრო ჯარების შენახვის ხარჯებს ისედაც ეკონომიკურად გაძვალტყავებული საქართველო? რატომ უყოფს მილიარდობით რუბლის დახმარებას აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ რუსეთი? ეს ხომ საფინანსო დივერსიის მკაფიო ნიმუშია? არ შეიძლება ამ საკითხების გარშემო დუმილი. ეს ჩვენი სუვერენიტეტისათვის მიუღებელია. როცა საქმე ქვეყნის ღირსების დაცვას ეხება, მეტი პრინციპულობა და შემართებაა საჭირო. მაგრამ ყოველივე პოლიტიკური მოლაპარაკებისა და დიალოგის ვითარებაში უნდა გადაწყდეს. ასევე პოლიტიკური მოლაპარაკებით უნდა მოხდეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტების მოგვარება,

პრობლემები, როგორც იტყვიან, თავზე საყრელად გვაქვს. მათი გადაჭრა საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებით უნდა ხდებოდეს და არა თვითნებურად. ყოველი ქმედება კანონს უნდა ექვემდებარებოდეს. თუმცა, ბევრი საკითხის მოგვარებას ზოგიერთი კანონის უქონლობა აფერხებს, ამაში კი ჩვენ, პარლამენტარებს მიგვიძღვის გარკვეული ბრალი. პარლამენტმა უნდა დააჩქაროს კანონების შემუშავება და მიღება, თორემ ქვეყნის ეკონომიკა ვერ შეძლებს სასურველი ტემპით განვითარებას. მწამს, პარლამენტი შეძლებს თავისი მუშაობის გარდაქმნას და არ მიმაჩნია სწორად მისი ვადამდე არჩევნების მოთხოვნები. ყოველი გართულებისთანავე ხელისუფლებისა და მთავრობის შეცვლა არ არის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის სასურველი მიზანმიმართული მოქმედება. მხოლოდ საერთო ძალისხმევით, თანადგომითა და გულწრფელი პატრიოტული შემართებით შეიძლება ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინება, დემოკრატიული და სამართლებრივი საზოგადოებრიობის ჩამოყალიბება.

ახლა ზუსტად განვჭვრიტოთ შექმნილი ვითარება და განვტვირთოთ იგი. მიზეზების ძიებისა და გაუთავებელი ურთიერთგადაბრალების დრო აღარ არის. ისე კი, გულახდილად ვიტყოდი, თუ მაინც გავაგრძელებდით ტრაგედიების წარმომშობი მიზეზების ძიებას, შეიძლება მან, როგორც იტყვიან, მთელი ქვეყნიერება მოიცვას: მოივლის საქართველოს, რუსეთს, მოსკოვშიც გაისეირნებს, აქ, ჩვენთან, პარლამენტშიც შემოვა და არა ერთი პიროვნების მისამართით, არამედ ყველა ჩვენი მისამართითაც.

დიახ, ახლა მთავარია ვიზრუნოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე, რომელიც შენარჩუნებულია და მსოფლიოს ყველა ქვეყანამ აღიარა. უნდა ვიზრუნოთ მის განმტკიცება-გაძლიერებისათვის. ჩვენი სახელმწიფოს სიმტკიცის ბაირახტარი კი უნდა გახდეს ქართული ჯარი. იგი რაც შეიძლება სწრაფად უნდა შევქმნათ და ჩამოვაყალიბოთ, ხაზს ვუსვამ, ცივილიზებული ქვეყნის შესადარ ჯარად. ეს კი დიდ შრომას, მოთმინებას, ზომიერებასა და სახელმწიფოებრივ გადაწყვეტას მოითხოვს. ნაუცბადევად ჯარისა თუ ლაშქრის თავშეყრამ, მისთვის უკონტროლოდ იარაღის გადაცემამ, სამხედრო დისციპლინის უქონლობამ, ყველა საკითხის ძალის პოზიციით გადაწყვეტის მცდელობამ სადამდე მიგვიყვანა და რა დღეში ჩააგდო საქართველო, ყველასათვის ნათელია.

დიდ იმედებს ვამყარებთ მსოფლიო თანამეგობრობაზე, რომლის ახალი ბინადარნი ვართ. თუ როგორ ჩამოვყალიბდებით ამ თანამეგობრობაში, როგორ ავუწყობთ ფეხს ცივილიზებულ სამყაროს, მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს აწმყოსა და მომავლისათვის. ზედმიწევნით უნდა გამოვიყენოთ ის ხელსაყრელი პირობები და მომენტები, ასე უხვად რომ გვაქვს დღეს. ამაშია ჩვენი ამჟამინდელი პოლიტიკური კურსის სისწორე. უკიდურეს კრიტიკულ შემთხვევაში კი არ უნდა დავკარგოთ წონასწორობა და სულიერი სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ.

არც თუ იშვიათად გაისმის კრიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო სამშვიდობო ინსტიტუტების მიმართ. ამ ორგანიზაციებმა მსოფლიოს წინაშე დიდი მისია იტვირთეს და ასრულებენ კიდეც. მარტო ის რად ღირს, რომ მათი ხელშეწყობით, ბოლოს და ბოლოს, XX საუკუნის მიწურულს დაანგრიეს ბოროტების იმპერია და ახლა მისი დაშლის შედეგად წარმოქმნილ კონფლიქტებს აწესრიგებენ. მათ რიცხვშია ჩვენი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემებიც, მათი მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის მცდელობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როცა მსოფლიო ცივილიზაციის უმაღლეს ფაზაში შედის, იქმნება აზრი ერთიანი, ცენტრალიზებული კოლექტიური უშიშროების ინსტიტუტის — გაეროს რეორგანიზაციისა მისი რეგიონთაშორისო კოლექტიური უშიშროების ინსტიტუტებად გარდაქმნის თაობაზე, რაც პოლიტიკოსების აზრით, აამაღლებს ამ ორგანიზაციის ქმედითუნარიანობას. გაეროს საყოველთაო საქმიანობაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები: მისი ეგიდით 1948 წლიდან მოყოლებული 33 ოპერაცია ჩატარდა სამშვიდობო მისიით, რომლებშიც მონაწილეობდა 650 ათასი ჯარისკაცი, სამწუხაროდ, 1027 ჯარისკაცი დაიღუპა. ყველა ეს ოპერაცია 8,3 მილიარდი ამერიკული დოლარი დაჯდა. ყოველწლიურად ამ ძალების შესანახად 3,6 მილიარდი დოლარი იხარჯება. ამჟამად გაეროს სამშვიდობო ძალებში გაერთიანებულია 75 ქვეყნის 76 ათასი ჯარისკაცი. მთელი ხარჯების 70 პროცენტი და ცოცხალი ძალის 75 პროცენტი ამერიკის შეერთებულ შტატებზე მოდის. ამიტომაც ამ ქვეყნის მაღალ წრეებში უკვე გაისმის ხმები ამ მძიმე ტვირთის ზიდვის საწინააღმდეგოდ.

ჩვენ უნდა ვამართლებდეთ მსოფლიოს მხარდაჭერას. პოზიცია, რომელსაც ახლა საქართველოს ხელისუფლება სახელმწიფოს მეთაურის ხელმძღვანელობით ატარებს, მოიცავს დიდმასშტაბიან სპექტრს და შეესაბამება მსოფლიო პოლიტიკური აზროვნების უმაღლეს კრიტერიუმებს, ერწყმის ჩვენს პლანეტაზე მიმდინარე პროგრესულ გარდაქმნებს და მოქცეულია ზოგადსაკაცობრიო ინტერესებში.

მოდით, ერთხელ კიდევ დავფიქრდეთ; შეგვიძლია თუ არა, გავიზიაროთ ეს პოზიცია და გვერდში დავუდგეთ მათ მესვეურებს. და თუ ჩვენი გონი და არსი აღიარებს ამ პოზიციის უტყუარობას, მაშინ უყოყმანოდ და უქოქმანოდ გავერთიანდეთ, ერთად ვიღვაწოთ და ერთად ვწიოთ საქართველოსთვის განკუთვნილი მძიმე ჭაპანი.

**თენგიზ კალანდაძე,
საქართველოს პარლამენტის
წევრი.**

ბჯარი“

ინაგანი ჯარი რულყოფილი ხდება

**აქართველოს რესპუბლიკის
ან საქმეთა სამინისტროს ში-
ნი ჯარების საბრძოლო მზად-
ნის, მათი სამსახურეობრივი
პროფესიული დონის ამაღლე-
მიზნით პირველი ოპერატიუ-
ბრიგადის ბაზაზე გაიმართა
დრო ნაწილების მეთაურები-
და მათი მოადგილეების სამ-
ანი სასწავლო-მეთოდური შე-
ბა. შეკრების მონაწილეები
ოდნენ ფიზიკურ წვრთნას,
ტიკურ, საცეცხლე და ტექნი-
მომზადებას. ასევე მოისმი-
სამხედრო ნაწილების მეთაუ-
ანგარიშები ადგილებზე პი-
დი შემადგენლობის სამსახურე-
ივი და პროფესიული მომზა-
ბისათვის გაწეული მუშაობის
სახებ.**

შაობის გაანალიზების საფუ-
ლზე, საბრძოლო მომზადების,
ციპლინის განმტკიცების, სწა-
ბის პროცესის უკეთ ორგანი-
ბისა და წარმართვის მიზნით,
აგანი ჯარების სარდლის მოა-
ილეებმა — გენერალ-მაიორმა
დარ გუჯაბიძემ, პოლკოვნიკმა
ლი ნორაკიძემ და ვიცე-პოლ-
ვნიკმა ლევან ბუილიშვილმა
თაურებს მისცეს რეკომენდაცი-
მათთვის საინტერესო საკით-
ზე.

თეორიული მეცადინეობის დას-
ლების შემდეგ, ადგილებზე
აქტიკული დახმარების გაწევის
ზნით, შინაგანი ჯარების სარდ-
ლ, გენერალ-მაიორ ვლადიმერ
ოვანის გადაწყვეტილებით გან-
ციელდა რესპუბლიკის ტე-
ტორიაზე დისლოცირებული შე-
ანი ჯარების სამხედრო ნაწი-
ბის დათვალიერება, რომელშიც
ნაწილეობდნენ სარდალი, გენე-
-მაიორი ვ. ჩიქოვანი, სარდლის მოადგილეები, განყოფილებათა და სამსახურების უფროსები, სამხედრო ნაწილების მეთაურები.

დათვალიერებამ ცხადყო, რომ ადგილებზე ჯერ კიდევ მრავალი პრობლემაა, მაგრამ სიძნელეების მიუხედავად შინაგანი ჯარების პირადი შემადგენლობა, რესპუბლიკის მთავრობის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების აქტიური მხარდაჭერითა და თანადგომით პირნათლად ასრულებს მის წინაშე მდგარ ამოცანებს, რის დამადასტურებელიც იყო ბათუმის, ზუგდიდის, სენაკის, თელავის ბატალიონებსა და ქობულეთის ასეულში გამოცხადებული სასწავლო განგაში, რომლის დროსაც გამოვლინდა მათი სრული მზადყოფნა საბრძოლო დავალებების შესასრულებლად.

სულიერი აღზრდის, მაღალი ზნეობის ჩამოყალიბების პროცესზე კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ზრუნვამ, აგრეთვე მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევამ და სულიერად აღზრდის სწორმა მიმართულებამ, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის მიტროპოლიტ ათანასეს.

შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს, ახორციელებს პრაქტიკულ დახმარებას, რათა შესაძლებლობის ფარგლებში დადებითად გადაწყვიტონ ის პრობლემები, რომლებიც სამხედრო ნაწილების წინაშე დგას.

რედაქციო ფოსტიდან

გულწრფელი მადლობა პარლამენტარს

პატივცემულო რედაქცია!
ჩვენ ახლახან დავბრუნდით აფ-
ხაზეთიდან — საქართველოს ძირ-
ძველი მიწიდან, სადაც ბოლომ-
დე ვიცავდით კოდორის ხეობას,
იქაურ ქართულ მოსახლეობას.
წამოვედით ხეობიდან არა იმიტ-
ომ, რომ ვინმეს ქედი მოვუხარ-
ეთ, არამედ სწორედ იმიტომ,
რომ რესპუბლიკის ხელმძღვანე-
ლობის დღევანდელ სამშვიდობო
პოლიტიკას, აფხაზეთში ქართვე-
ლთა დაბრუნების პერსპექტივას
ეს ნაბიჯი სჭირდებოდა...
თბილისში ჩამოსვლისთანავე გა-
დავწყვიტეთ თქვენთვის მოგვემ-
ართა, რომ ქვეყანას გაეგო საქა-
რთველოს პარლამენტის იურიდი-
ული კომისიის თავმჯდომარის,
ბატონ შალვა ნათელაშვილის კაცური მხარდაჭერა კოდორის ხეობაში მყოფი მებრძოლების სოციალური პრობლემების გადაწყვეტისადმი. მან პირველი შეხვედრისთანავე გულთან მიიტანა ჩვენი გასაჭირი, ყველაფერი განზე გადადო და მანამ არ მოეშვა საქმეს, სანამ ბოლომდე არ მიიყვანა. სითბო, სიყვარული, უბრალოება, ვაჟკაცური დამოკიდებულება — აი, რამ მოგვხიბლა... ღმერთმა ჯანმრთელობა და მშვიდობა მისცეს ამ ღვთისნიერ პიროვნებას — ბატონ შალვა ნათელაშვილს!...

კოდორის ხეობიდან დაბრუნებული მებრძოლების სახელით — ოლეგ ტყემალაძე, ზაალ ბეთიაშვილი, რამაზ ბრეგვაძე.

საუბრები კონსტიტუციაზე

საზოგადოებრიობის სამსჯავროზე

რუბრიკას უძღვება პროფესორი გივი ინწკირველი

საქართველოს პარლამენტმა 1993 წლის მარტში შექმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. მიზეზი ნათელი იყო: აღდგენილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია ახალი ქვეყნის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობს, პარლამენტის თანხმობით, შემოიკრიბა ყველა, ვისაც სურს ქვეყნის ძირითადი კანონის შექმნაში მონაწილეობის მიღება. კომისიას 6 პროექტი და კონსტიტუციის ცალკეულ დებულებათა კონცეპტუალური წინადადებები წარუდგინეს სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა, იურისტებმა, ექსპრეზიდენტის მომხრეებმა, საქართველოს მოქალაქეებმა და უცხოელებმა, პროფესიონალებმა და, უბრალოდ, მოყვარულებმა.

სულ მალე ქვეყნის მოწყობის ამ უმთავრესი ქარტიის პროექტი საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოვა, მანამდე კი რამდენიმე კითხვით მივმართეთ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მდივანს ავთანდილ დემეტრაშვილს, პიროვნებას, რომელიც ამ ხნის მანძილზე უშუალოდ დგას აზრთა ორომტრიალის ცენტრში.

კონსტიტუციაზე მუშაობა ძირითადად კომისიის შიგნით — სამდივნოსა და სარედაქციო ჯგუფში მიმდინარეობდა. თქვენთვის ცნობილია, რომ კომისიას პროექტები წარუდგინეს რესპუბლიკურმა პარტიამ, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ, პოლიტიკურმა ორგანიზაცია „ხმა ერისამ“, მოქალაქეთა კავშირმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ჯგუფმა და სახალხო ფრონტთან არსებულმა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ. სამუშაო ჯგუფების მიერ წარმოდგენილ წინადადებათა საფუძველზე, ვიწრო შემადგენლობის სარედაქციო ჯგუფის ნაწილმა წარმოდგენილი პროექტების გათვალისწინებით შეადგინა ძირითადი პროექტის დღეს არსებული ვარიანტი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მასში, ჯერჯერობით, ზოგიერთი დებულება ჩამოყალიბებულია რამდენიმე ალტერნატივის სახით. ამ ვარიანტებს განიხილავს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სხდომა. მოწონების შემთხვევაში კი იგი დასამტკიცებლად წარედგინება პარლამენტს.

კონსტიტუციაზე მუშაობისას პროექტის ავტორები, პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, ხელმძღვანელობდნენ 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპებით, რომელთა შორის უმთავრესია სახალხო სუვერენიტეტი, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო პარლამენტი, ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება, ადამიანის ძირითადი უფლებების აღიარება და მათი რეალიზაციისათვის შესაბამისი კონსტიტუციური გარანტიების შექმნა, ხელისუფლების ვერტიკალური და ჰორიზონტული დანაწილება, ფართო და ეფექტიანი ადგილობრივი თვითმართველობა, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა. გარდა ამისა, არ შეგვეძლო არ გაგვეთვალისწინებინა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის განვითარების გამოცდილებანი. აქედან გამომდინარე, გათვალისწინებულია 1921 წლის კონსტიტუციისათვის ისეთი უცნობი ინსტიტუტები, როგორიც არის რესპუბლიკის პრეზიდენტი, საკონსტიტუციო სასამართლო, ახალი სამხარეო ტერიტორიული მოწყობა.

— ყოველი კონსტიტუციის ძირითადი თემები მაინც ხელისუფლების დანაწილება, ანუ მართვა-გამგეობისა და სახელმწიფო წყობილების ფორმებია. როგორი მართვა-გამგეობა იქნება — საპარლამენტო, საპრეზიდენტო რესპუბლიკა თუ მონარქია?

— მართალი ბრძანდებით. სწორედ ამ საკითხებზე იყო, არის და იქნება ყველაზე მწვავე დავა. სამდივნოში შემუშავებული ბოლო ვარიანტი ითვალისწინებს მართვა-გამგეობის შერეულ ფორმებს, რომელშიც განსაზღვრულია როგორც საპარლამენტო, ასევე საპრეზიდენტო რესპუბლიკა. მაგალითად, გათვალისწინებულია პარლამენტის შეუზღუდავი საკანონმდებლო ძალაუფლება, მთავრობის შექმნისა და პასუხისმგებლობის საპარლამენტო ფორმები, მთავრობისადმი ნდობისა და უნდობლობის გამოცხადების შესაძლებლობები, პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილებანი და სხვა, რაც უდავოდ უნდა ჩაითვალოს საპარლამენტო რესპუბლიკის ნიშნებად. რესპუბლიკის პრეზიდენტს მინიჭებული აქვს სახელმწიფოს მეთაურობის ფუნქცია. აქედან გამომდინარე იგი საქართველოს რესპუბლიკას წარმოადგენს ქვეყნის შიგნით და საგარეო ურთიერთობებში. აქვს ეფექტიანი საშუალებები, როგორც უუნარო პარლამენტზე, ასევე მთავრობაზე ზემოქმედებისათვის. ეს რაც შეეხება საპრეზიდენტო „ნასესხებ“ დებულებებს.

პრეზიდენტის სახელმწიფო მექანიზმში რეალური როლის განსაზღვრისათვის ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი არჩევის წესს. არსებული ვარიანტის ავტორები, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ამ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. ამიტომ ტექსტში შეტანილია პრეზიდენტის არჩევის 4 წესი: ხალხის მიერ; პარლამენტის მიერ; სპეციალური საარჩევნო კოლეგიის მიერ; ხალხის მიერ პირველ ტურში, ხოლო თუ ვერც ერთმა ვერ გაიმარჯვა, პარლამენტის მიერ მეორე ტურში.

რაც შეეხება მონარქიის აღდგენას, ეს საკითხი საკონსტიტუციო კომისიაში არ განხილულა, ვინაიდან საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, რომლის ახალ რედაქციასაც ჩვენ ვადგენთ, იმპერატიულად კრძალავს რესპუბლიკური წყობილების გადასინჯვას.

— წარმოდგენილ პროექტებში როგორ არის გადაჭრილი საქართველოს ტერიტორიული დაყოფის საკითხი, აფხაზეთის, აჭარისა და სამაჩაბლოს სტატუსი?

— ამ საკითხში თითქმის ყველა წარმოდგენილი პროექტი, მათ შორის სამდივნოში მომზადებული ბოლო ვარიანტიც, აწესებს საქართველოს ახალ ტერიტორიულ მოწყობას. სიახლე ახალი ტერიტორიული ერთეულის — მხარეების შემოღებაშია. გეოგრაფიული ფაქტორის, ისტორიული ტრადიციების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით სხვადასხვა ავტორები გვთავაზობენ მხარეთა 7, 12, 13 და სხვა რაოდენობას. ამასთან, საყურადღებოა, რომ არც ერთი წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს საქართველოს ფედერალურ მოწყობას. თუ ღრმად გავიაზრებთ პროექტში ასახულ საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოებსა და მხარეებს შორის ურთიერთობის ხასიათს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემოთავაზებულია ასიმეტრიული, დეცენტრალიზებული ტერიტორიული მოწყობა.

— თუ შეიძლება უფრო ფართოდ ამის შესახებ.

— მოგეხსენებათ რომ მხარეებს შორის ზოგი განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობს. ესენია: აფხაზეთი, აჭარა და ცხინვალის რეგიონი. მათ გარკვეულ ფარგლებში მინიჭებული აქვთ თვითმოწყობის კონსტიტუციური შესაძლებლობანი. ამდენად არ არის გამორიცხული, რომ მათ ჰქონდეთ თავიანთი კონსტიტუციები, სახელმწიფო მექანიზმი, გარკვეულ საკითხებში შეუზღუდავი საკანონმდებლო უფლებამოსილებანი და ა. შ. სწორედ ამაში გამოიხატება ჩვენი ტერიტორიული მოწყობის ასიმეტრია. თუმცა არსებითი განსხვავება დღევანდელ მექანიზმთან შედარებით არ არის. სიახლე ის გახლავთ, რომ ასიმეტრია უფრო ნაკლებია, ვინაიდან კახეთს, ქართლსა და სხვა მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საჭირბოროტო საკითხები. რაც შეეხება დეცენტრალიზაციას, იგი იმაში გამოიხატება, რომ გარკვეულ საკითხთა მოგვარება (და ამ საკითხთა წრე საკმაოდ ფართო იქნება) გადავა სამხარეო ან ადგილობრივ დონეზე.

— დაედო თუ არა საფუძვლად არსებულ პროექტს რომელიმე ქვეყნის კონსტიტუცია?

— პირველ ყოვლისა ეს არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია. რაც შეეხება სხვა ქვეყნების კონსტიტუციებთან მსგავსებას, შეიძლება ითქვას, რომ პროექტი ითვალისწინებს საფრანგეთის 1958 წლის (პრეზიდენტის არჩევნები, მისი უფლებამოსილებანი და სხვა), გერმანიის (მთავრობის ჩამოყალიბებისა და გადაყენების წესი, პარლამენტის სტრუქტურა და სხვა), იტალიისა და ესპანეთის (ტერიტორიული მოწყობა, საკონსტიტუციო სასამართლო და სხვა) კონსტიტუციებს. რაც შეეხება კონსტიტუციის იმ ნაწილს, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება, იგი შედგენილია მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით.

— არჩევნების როგორი სისტემაა ნავარაუდევი საქართველოში?

— უნდა მოგახსენოთ, რომ ტერიტორიული მოწყობის თავისებურებებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო პროცესის სრულყოფის მიზნით, მოფიქრებულია პარლამენტი, რომელიც რესპუბლიკის საბჭოსა და სენატისაგან შედგება. პალატების წევრთათვის გათვალისწინებულია არჩევის სხვადასხვა წესი. რესპუბლიკის საბჭო, რომელიც გააზრებულია პარტიული წარმომადგენლობის პალატად, არჩეული იქნება პარტიული სიების საფუძველზე პროპორციული საარჩევნო სისტემით. სენატი, როგორც ტერიტორიული წარმომადგენლობის პალატა, აირჩევა მხარეების ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ. ყოველი მხარისათვის დადგენილია ასარჩევ სენატორთა გარკვეული რაოდენობა, განსაკუთრებული სტატუსის მქონე მხარეები სხვებთან შედარებით მეტ სენატორს აირჩევენ.

— როდის ვარაუდობენ კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის დამტკიცებას?

— სასურველი იქნებოდა საარჩევნო კანონის კონსტიტუციამდე მიღება. რაც შეეხება ვადებს, ჩემი აზრით, 1995 წლის გაზაფხულს არ გადასცილდება.

დაბოლოს, მინდა ვთქვა, რომ აქამდე ჩატარებული სამუშაო უფრო აკადემიური ხასიათისაა. მალე დაიწყება კონსტიტუციური პროცესის მორიგი ეტაპი. სწორედ ამ ეტაპზე უნდა მოხდეს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება.

ესაუბრა
ია კალანდარიშვილი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

აიღეს ქალაქი არგუნი

გააფთრებული ბრძოლის შედეგად, ჯოხარ დუდაევის შეიარაღებულ ქვეგანაყოფებსა და რუსლან ლაბაზანოვის ოპოზიციურ რაზმს შორის, ქალაქი არგუნი ხელთ იგდეს ჩეჩნეთის პრეზიდენტის ნაწილებმა.

შეტაკების შედეგად ორივე მხარეს არის მსხვერპლი, მათ შორის, მშვიდობიან მოსახლეობაშიც. წინასწარი მონაცემებით, მარტო რუსლან ლაბაზანოვის რაზმში დაიღუპა 15-ზე მეტი კაცი. დიდი დანაკარგები აქვს ჯოხარ დუდაევის ფორმირებებსაც. მაგრამ მათი ზუსტი რიცხვი ჯერჯერობით ცნობილი არ არის..

იტარ-ტასმა დაწვრილებით შეიტყო არგუნში ღამის შეტაკების ფაქტები, რომელთა თანახმად ჯოხარ დუდაევის ბოევიკთა ძალებმა, რომელთა შემადგენლობაში შედიან შამილ ბასაევის რაზმი და ჩეჩნეთის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის სულთან გელისხანოვის ქვეგანაყოფები, მოწინავე რაზმად გაუშვეს დაქირავებულები და სამი მხრიდან მიიტანეს იერიში ქალაქზე.

შეტევას ცეცხლით მხარს უჭერდა არტილერია, ტანკები და ავიაცია. დუდაევის შეიარაღებულმა ფორმირებებმა ცეცხლი დაუშინეს არგუნის საცხოვრებელ უბნებს, გაარღვიეს რუსლან ლაბაზანოვის რაზმის მოგერიების ზღუდე და ქალაქში შეიჭრნენ. არსებული მონაცემებით, ქუჩის ბრძოლებში გამოიყენეს გრანატ-და ნაღმსატყორცნები.

რუსლან ლაბაზანოვის დასახმარებლად სოფელ ტოლსტოი-იურტიდან, სადაც რუსლან ხაზბულატოვის მომხრეთა შტაბ-ბინაა, არგუნის მიმართულებით დაიძრა ორი ტანკი, ორი ჯავშანტრანსპორტიორი დროებითი საბჭოს 70 მოლაშქრის თანხლებით. ბრძოლის ზონიდან ტოლსტოი-იურტში ჯერჯერობით სულ 45 კაცი დაბრუნდა.

ჩეჩნეთში მასობრივ მკვლელობათა გამო

მოსკოვი, 6 სექტემბერი. (იტარ-ტას-საქინფორმი). კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელობამ შუამდგომლობით მიმართა რუსეთის გენერალურ პროკურატურას, რომ აღძრას სისხლის სამართლის საქმე ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მასობრივ მკვლელობათა ფაქტის გამო. ეს განაცხადა დღეს ბრიფინგზე კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახურის სტატისტიკის ცენტრალური განყოფილების ხელმძღვანელმა ალექსანდრე მიხაილოვმა.

როგორც მან აღნიშნა, კონტრდაზვერვის ფედერალურ სამსახურს ჩეჩნეთის რესპუბლიკა მიაჩნია რუსეთის ფედერაციის სუბიექტად და რუსეთის ტერიტორიაზე ტერორიზმის გავრცელების საფრთხის რეალურ წყაროდ.

„რუსეთი-ნატო“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ანდრია კოზირევს მიაჩნია, რომ პროგრამა „რუსეთი — ნატო“, რომელსაც ამჟამად ამუშავებენ, საერთო ევროპული უშიშროების დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იქნება.

ორშაბათს, მოსკოვში კოზირევმა ამ პროგრამის ძირითადი მიმართულებები და მისი ხელმოწერის პერსპექტივები განიხილა ნატოს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარესთან, რიჩარდ ვინსენტთან შეხვედრაზე. მსგავსი პრობლემები იყო ფელდმარშალ ვინსენტისა და რუსეთის თავდაცვის მინისტრის პაველ გრაჩოვის შეხვედრის ყურადღების ცენტრში. სამხედრო უწყების მეთაურმა თქვა, რომ მოსკოვი ამთავრებს ამ პროგრამაზე მუშაობას, რომელიც მისი აზრით, ანვითარებს ნატოს დოკუმენტს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ეს დოკუმენტი ითვალისწინებს შეიარაღებასა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობაზე კონტროლს და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებას.

პაპის მომავალი გამგზავრება „სასარგებლო და საშიშია“

სარაევოში რომის პაპის იოანე პავლე მეორის მომავალი გამგზავრება ერთდროულად სასარგებლო და საშიშია. ეს თვალსაზრისი გამოთქვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალენ ჟიუპემ ორშაბათ საღამოს, „ევროპა-1“ რადიოსადგურისათვის მიცემულ ინტერვიუში.

მინისტრის ეს მოგზაურობა სასარგებლოდ მიაჩნია, რადგან „სარაევოში ისეთი სულიერი ავტორიტეტის ყოფნა, როგორიც რომის პაპია, მხოლოდ ხელს შეუწყობს შეიგრძნონ დრამის საშინელება“, წარმატებანი, რომელიც მიღწეულია ბოსნია-ჰერცეგოვინაში მდგომარეობის მოწესრიგების გზაზე, და აუცილებლობა, კვლავაც იარონ ამ გზით. საშიში კი ასეთი ვიზიტი იმიტომ არის, რომ უკიდურესებმა, რომლებიც დაემუქრნენ იოანე პავლე მეორეს, „შეუძლიათ სცადონ მუქარის განხორციელება. ამასთან დაკავშირებით, ა. ჟიუპემ გამოთქვა იმედი, რომ გაერო, „ცისფერი ჩაჩქნები“, სიფრთხილის ყველა საჭირო ღონისძიებას მიმართავენ, თუ პაპი დაადასტურებს თავის განზრახვას გაემგზავროს სარაევოში.

სამხედრო ხუნტა უნდა გადადგეს

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ალბერტ გორმა ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში განაცხადა, რომ ჰაიტის სამხედრო ხუნტა უნდა გადადგეს. მან თქვა, რომ „ინტერვენცია ჰაიტიში“ შეიძლება არ განხორციელდეს, თუ ხელისუფლების სათავეში უკანონოდ მოსული ჰაიტელი დიქტატორები შეასრულებენ საერთაშორისო გაერთიანების მოთხოვნას და ქვეყანაში ძალაუფლებას გადასცემენ მის კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს ჟან-ბერტრან არისტიდს.

მხარს უჭერს ყოველმხრივი კავშირების განმტკიცებას

ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ მხარი დაუჭირა რუსეთთან ყოველმხრივი კავშირურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია ორივე ქვეყნისათვის. ლუკაშენკო მხარს უჭერს ერთიანი რუბლის ზონის შექმნის იდეას. ამასთანავე, აღნიშნავს, რომ მისი განხორციელება ინფლაციის სხვადასხვა დონის არსებობისას გარკვეულ დროს მოითხოვს. შესაძლოა, რამდენიმე წელიწადსაც კი. მან თქვა, რომ იგი საბაზრო ეკონომიკას უჭერს მხარს და მზად არის, ბევრი რამ გადაიღოს რუსეთისაგან, მაგრამ არა ყველაფერი. კერძოდ, მისი აზრით, აქციონირებამ არ გააუმჯობესა ბელარუსის საწარმოების მუშაობა. როგორც პრეზიდენტმა თქვა, მისთვის არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე შეასრულოს წინასაარჩევნო დაპირებები რესპუბლიკის კრიზისიდან გამოყვანისა და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში კორუფციასთან ბრძოლის შესახებ.

შეხვედრა ბერლინში

ბოსნია-ჰერცეგოვინის საკითხში „საკონტაქტო ჯგუფის“ ქვეყნების წარმომადგენლები დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და საფრანგეთიდან, სამშაბათს ბერლინში განიხილავენ ბოსნიელი სერბების მიმართ სანქციების საკითხს იმის გამო, რომ მათ არ მიიღეს ჯგუფის მიერ შეთავაზებული სამშვიდობო გეგმა. ამავე დროს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსეთის „ცისფერი მუზარადები“ დატოვებენ სარაევოს თუ მოხსნილი იქნება ემბარგო მუსულმანთა მხარისათვის იარაღის მიწოდებაზე. ჩურკინის აზრით, ემბარგოს მოხსნას შეუძლია გამოიწვიოს მოვლენათა უკონტროლო განვითარება და რეგიონში გაეროს სამშვიდობო ოპერაციების შეწყვეტა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ალან ჟიუპეს მიაჩნია, რომ ზოგიერთი კორექტივი უნდა იქნას შეტანილი სამშვიდობო გეგმაში, რომ მისი აზრით, დასაშვებია ბოსნიელმა სერბებმა სერბიასთან კონფედერაცია შექმნან, ისევე, როგორც ეს მოხდა ხორვატებსა და ბოსნიელ მუსულმანებს შორის.

ბანკირების ფორუმი ვლადივოსტოკში

ვლადივოსტოკში შეიკრიბა ოთხასზე მეტი ბანკირი და სხვა ფინანსური საქმის სპეციალისტი მსოფლიოს ათი ყველაზე უფრო განვითარებული სახელმწიფოდან. გუშინ, აქ დაიწყო აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების პირველი საერთაშორისო საბანკო კონგრესი. მის მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ აგრეთვე რუსეთის სახელმწიფო, კომერციული და ფინანსური სტრუქტურები.

შეხვედრა ბელგრადში

სერბიის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა მიიღო ყოფილ იუგოსლავიაში საერთაშორისო შუამავლები დევიდ ოუენი და ტურვალდ სტოლტენბერგი. განიხილეს ყოფილ იუგოსლავიაში მშვიდობიანი გზით კრიზისის დაძლევის გზები. საგანგებო ყურადღება დაეთმო ბელგრადის ძალისხმევას ბოსნია-ჰერცეგოვინაში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის მისაღწევად. ამასთან დაკავშირებით, სერბების მხრიდან აღინიშნა, რომ აუცილებელია იუგოსლავიის მიმართ გაეროს მიღებული სანქციების მოხსნა, რაც იქნებოდა ყველაზე საუკეთესო წვლილი საერთაშორისო გაერთიანების მხრივ ბოსნიაში მშვიდობის მიღწევისა და რეგიონში ჭეშმარიტი მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერის საქმეში.

პროვოკაციული აფეთქება

კვირას ბელფასტში (ჩრდილოეთ ირლანდია) შინ ფეინის (ირლანდიის რესპუბლიკური არმიის პოლიტიკური დაჯგუფების პოლიტიკური ფრთა) შტაბ-ბინასთან, ძლიერი აფეთქება მოხდა. როგორც პარტიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, არავინ დაშავებულა, აფეთქებამდე რამდენიმე საათით ადრე ამ რაიონში გაიმართა შინ ფეინის მიერ მოწყობილი მიტინგი, რომელზეც გამოვიდა პარტიის თავმჯდომარე ჯერი ადამსი. შინ ფეინი ტერორისტულ აქტში პროტესტანტი ექსტრემისტებს ადანაშაულებს, რომლებსაც სურთ ირლანდიის რესპუბლიკური არმია აიძულონ საპასუხო მოქმედება დაიწყოს, ირლანდიის რესპუბლიკურმა არმიამ რამდენიმე ხნის წინათ გამოაცხადა, რომ საბოლოოდ წყვეტს ძალადობის კამპანიას.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორმირებული პურის ფასი არ მოიმატებს

ეს განაცხადეს რესპუბლიკური სახურსათო კომისიის სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის ავთანდილ მარგიანის თავმჯდომარეობით. აღინიშნა, რომ მოსახლეობისათვის ტალონებით განაწილებული პური გაიყიდება ფიქსირებული ფასებით. ამ მოცულობის გადაჭარბებით გამომცხვარი პურფუნთუშეულის ნაწარმის ფასები განთავისუფლდება.

კომისიამ განიხილა რესპუბლიკის კვების მრეწველობაში საზღვარგარეთის ფირმებთან ერთობლივი საწარმოების შექმნის პერსპექტივა. ისიც ითქვა, რომ არის შესაძლებლობა, საქართველოს სამხრეთის რაიონებში დამზადდეს 16-20 ათასი ტონა კარტოფილი. მაგრამ ამისათვის საჭიროა, განხორციელდეს რიგი ფინანსური და სამეურნეო ღონისძიებანი.

საინფორმაციო ანალიტიკური კლუბი

საზოგადოება „საქართველოს მომავალი" და ამ საზოგადოებასთან ახლახან შექმნილი საინფორმაციო ანალიტიკური კლუბი მიზნად ისახავს რესპუბლიკის ინტელექტუალური ელიტის გაერთიანებას ზოგადეროვნული განვითარების კონცეფციის შემუშავების, ჩვენს წინაშე მდგომი საპირბოროტო საკითხების, საბოლოოდ — სახელმწიფო იდეოლოგიის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად.

საზოგადოების ანალიტიკური კლუბის დამფუძნებელ სხდომაზე მოწვეული იყვნენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის პროფესიონალი, გამოცდილი სპეციალისტები — ნოდარ ჭითანავა, ლევან მატარაძე, გიორგი ფიფია, ლორიკ მარშანია, ნათელა ვასაძე, გიორგი ანჩაბაძე, სოსო ცინცაძე და მრავალი სხვა. ანალიტიკური კლუბის გეგმებსა და ამოცანებზე დაწვრილებით ილაპარაკა საზოგადოების თავმჯდომარემ ალექსანდრე ჭაჭიამ. გადაწყდა: ჯერჯერობით კვირაში ერთხელ შეიკრიბონ და პრინციპულად იმსჯელონ კონკრეტულ საპირბოროტო საკითხებზე. მომავალ პარასკევს, 9 სექტემბერს, ანალიტიკური კლუბის სხდომაზე განიხილავენ პროფესორ გიორგი ანჩაბაძის მოხსენებას — „ჩრდილოეთ კავკასიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები".

პოეტური სიტყვის დღესასწაული

წლეულს, 4 სექტემბერს, მხიარულად აღნიშნეს წალკის რაიონის სოფელ აიაზმის მცხოვრებლებმა თავიანთი სახელოვანი თანასოფლელის, ცნობილი აშუღის გუსან შავასის დღესასწაული, რომელიც გაზეთ „ვრასტანის" ინიციატივით ტრადიციად დამკვიდრდა. გუსან შავასი, რომლის დაბადების 110 წლისთავი 1996 წელს აღინიშნება, ერთი იმათგანია, ვისი შემოქმედებაც განასახიერებს ხალხთა მეგობრობას, კაცთმოყვარეობას, სიკეთეს, თანადგომას.

დღესასწაულზე სიტყვები წარმოთქვეს ბატონმა ვახტანგ რჩეულიშვილმა, გაზეთ „ვრასტანის" მთავარმა რედაქტორმა ვან ბაიბურთმა, მწერალმა ბენიკ სეირანიანმა, პარლამენტარებმა ჟორა სნხჩიანმა და დიმიტრი ჩიტლოვმა, ახალქალაქისა და წალკის გამგებლებმა სტეფანე სტეფანიანმა და გიორგი ქვალიაშვილმა, სომხეთის რესპუბლიკის დროებითმა რწმუნებულმა საქართველოში ლევონ ხაჩატრიანმა. ყველა გამოსვლას წითელ ზოლად გასდევდა აზრი იმის შესახებ, რომ ხალხთა მეგობრობა და თანადგომა ის ციხესიმაგრეა, რომელსაც დამარცხება არ უწერია.

ნავთობსახდელი განადგურებულია

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 5 სექტემბერს, ქვემო ქართლის შინაგან საქმეთა რეგიონული სამართველოსა და ლილოს ქვედანაყოფების თანამშრომლებმა განახორციელეს ერთობლივი ოპერატიული ღონისძიება, რის შედეგადაც სოფელ სართიჭალაში გაანადგურეს ორი ნავთობსახდელი მოწყობილობა. ერთ-ერთი მოწყობილობის პატრონები დაკავებული არიან. ჩამორთმეულია 4 ტონა ნავთობის ნედლეული, 1,5 ტონა გადამუშავებული ბენზინი და 7 ტონა დიზელის საწვავი, აგრეთვე — წყლის ტუმბო, ძრავები და ამ მოწყობილობის მუშაობისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები.

ჩამორთმეულია ფალსიფიცირებული სასმელები

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ქუთაისში გამოავლინეს ფალსიფიცირებული სპირტიანი სასმელების დამზადებისა და რეალიზაციის ფაქტები. ჩამორთმეულია ქართული წარმოების ღვინის, შამპანურის, კონიაკისა და არყის ნიმუშები. შეჩერებულია 3,5 ტონა ღვინის რეალიზაცია.

უმაღლესი ხარისხის
ქაღალდი
A4 ფორმატი (210X297)
80გრ/მ² შემაღლებული სიმკვრივის
ფინური წარმოების
ერთი შეკვრა 500 ცალი (2,5კგ)
ქაღალდი გამოსაყენებელია
ქსეროკოპირებისათვის,
ლაზერული და ჭავლური
პრინტერებისათვის.
ტელ.: 93-00-74, 98-75-11

ხელოვნება

მემკვიდრე



სურათზე: დავით კაკაბაძის შვილიშვილი დავით კაკაბაძე თავის ნამუშევართან — „დავით კაკაბაძესთან".

ახალგაზრდა [illegible] **გამოჩენა** [illegible] **ყოველთვის** [illegible] **საზოგად[illegible]ბის უზომოდ დიდ ინტე[illegible] იწვევს.**

ყოველწლიურად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას ასობით სტუდენტი ამთავრებს, რომელთა შორის მკვეთრად გამორჩეული ნაწილი ქართული სახვითი სკოლის ტრადიციებზე დაყრდნობით თავიდანვე ცდილობს ხელოვნებაში დაამკვიდროს საკუთარი „მე".

ასეთ ახალგაზრდათა რიცხვს, რომლებსაც უმაღლესი სასწავლებლების დამთავრებისას უკვე აქვთ მკვეთრი ინდივიდუალობა, განეკუთვნება დავით კაკაბაძე. სიყვარული ხელოვნებისადმი მას გენეტიკურად მოსდგამს. დათო გახლავთ უდიდესი ქართველი მხატვრისა და თეორეტიკოსის დავით კაკაბაძის შვილიშვილი და ცნობილი ქართველი მხატვრის ამირ კაკაბაძის ვაჟი. აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, რომ დავითმაც თავისი პროფესიული ცხოვრება ხელოვნებას დაუკავშირა. აქვე დავძენთ, რომ უმცროსი დავითი აქტიურად მუშაობს საკუთარი ხელწერის შესაქმნელად, ეძებს სათანადო ფორმებსა და გამოსახვის ორიგინალურ საშუალებებს. იგი ცდილობს არავის ჰგავდეს. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს საქმისადმი მის დამოკიდებულებას, ახალგაზრდა კაცის ფართო შემოქმედებით შესაძლებლობებს, მიუთითებს მისი აზროვნების მასშტაბზე; მართალია, ინდივიდუალური ხედვის სრული ჩამოყალიბებისათვის მას წინ დიდი შემოქმედებითი გზა აქვს გასავლელი.

დავით კაკაბაძემ წლეულს ივნისში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი — მერაბ ბერძენიშვილის სახელოსნო. იმის გარდა, რომ ხელოვნებისადმი დიდი ლტოლვა მას ოჯახიდან მოსდგამს, თვით დავითის პიროვნე[illegible]ში დიდი ღვაწ[illegible] [illegible] ქართ[illegible] [illegible] ბერძენი[illegible] [illegible] წლის გა[illegible] [illegible] მის და მანვე ჩაუნერგა თავისი საქმისადმი დიდი სიყვარული, თავდადება.

შესაძლებლობა მქონდა თვალი გამედევნებინა დათოს განვითარებისათვის. იგი ფართო ინტერესების მქონე ახალგაზრდაა. მან თავდაპირველად თავისი შესაძლებლობანი ფერწერაში მოსინჯა. 1990 წელს მხატვრის სახლში გაიმართა ახალგაზრდა მხატვრების ჯგუფური გამოფენა, რომელშიც დავით კაკაბაძეც მონაწილეობდა. აქ გამოფენილი მისი ფერწერული ნამუშევრები შესაძლოა უფრო ექსპერიმენტული ხასიათისა იყო, აბსტრაქტულიც, მაგრამ თავისი ფერადოვნებითა და დეკორატიულობით გამოირჩეოდა.

საბოლოოდ დავითმა უპირატესობა ქანდაკებას მიანიჭა და როგორც თვითონვე აღნიშნავს, ამან შესაძლებლობა მისცა მთელი სისრულით აღექვა ფორმა, მისი მოცულობა, სტრუქტურა, მასა. დავითი ძალზე შემოქმედებითი ნატურაა, იგი მაძიებელი ბუნების პიროვნებაა. მასთან ყოველთვის საინტერესოა საუბარი და ურთიერთობა. ახალგაზრდა მოქანდაკე ხანგრძლივად და ძალზე „არტისტულად" მუშაობს.

დავით კაკაბაძემ პირველი დასრულებული ნამუშევარი მიუძღვნა სახელოვან ბაბუას — დიდი დავით კაკაბაძე გამოაქანდაკა. ეს არის მონუმენტური, თავისი ხასიათით ძლიერი ქანდაკება, რომელიც ბრინჯაოში ჩამოსასხმელად არის გათვალისწინებული.

მაშასადამე, მოქანდაკემ ერთმანეთს შეუთავსა ტრადიცია და თანამედროვეობა, მიაღწია რა ერთიანობის შთაბეჭდილებას. ფორმების მთლიანი რღვევის მიუხედავად, ქანდაკება აბსტრაქტულ-კუბისტურ და ამავე დროს რეალისტურ სახესაც ატარებს. ფიგურა მთლია[illegible] [illegible] [illegible] დეტალიტით ამცნობს, [illegible] წინაშეა მხატვარ დავით კაკაბაძის გამოსახულება. დეტალები ზუსტადაც კი შენიშნებული: გაშლილ ხელში მოქცეული დავით კაკაბაძეს უჭირავს მისი ცნობილი ქანდაკება, რომლითაც, როგორც უმცროსმა დავითმა აღნიშნა, ხაზგასმულია, რომ ზუსტად დავით კაკაბაძემ შემოიტანა ქართულ ხელოვნებაში თანამედროვე, ახალი ხელოვნების პრინციპები. გულმკერდის არეში ჩაწერილი რკალი, ძალზე ცნობილი მოტივია, რომელსაც დავით კაკაბაძე იყენებს კონსტრუქციულ-დეკორატიული კომპოზიციების შექმნისას და სხვა.

ამ ქანდაკების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ სახვით სკოლას შეემატა ძალზე ნიჭიერი, ენერგიული ახალგაზრდა მოქანდაკე, რომელსაც წინ დიდი შემოქმედებითი ასპარეზი ელოდება. მართალია, კიდევ ბევრი რამ ექნება დასახვეწი თავის ხელოვნებაში უმცროს დავით კაკაბაძეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით გარკვეული ეტაპისათვის იგი შეიძლება დასრულებულ ხელოვნად ჩაითვალოს.

ძალზე სასურველი იქნებოდა ამ ქანდაკებისათვის მოიძებნოს ადგილი თბილისის რომელიმე ცენტრალურ უბანში.

...დიდ დავითს მიაჩნდა, რომ მხატვარმა თანამედროვე მსოფლიო ხელოვნების გზით უნდა იაროს, უნდა შეისწავლოს მემკვიდრეობაც, არა მხოლოდ იმისთვის, რომ აღიჭურვოს ენთუზიაზმით და გახდეს მისი მიმბაძველი, ანდა ინტერპრეტატორი, არამედ იმიტომ, რომ სულიერად ამაღლდეს და შეიცნოს მისი შინაარსი. ვუსურვოთ მის შვილიშვილს მომავალში შეიტანოს თავისი წვლილი ქართული ხელოვნების განვითარებაში.

მარიანა ოკლეი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

რას გვაძლევს მამალი?!

სოფლად ყველა გლეხს ეზოში გამოუყენებელი აირის საბადო აქვს

ეს წერილი ფილმის „იმერული ესკიზების" ერთი პერსონაჟის, სოფლის სკოლის მასწავლებლის შეკითხვის მსგავსად რომ დავიწყო და ბავშვის ნაცვლად, უფროსებს ვკითხო, „აბა რას გვაძლევს მამალი?" მათი პასუხიც, ალბათ, იგივე იქნება, როგორც პატარა იმერელი ბიჭისა: „ხორცს, კვერცხს, ბუმბულს"!.. და მეც იძულებული გავხდები, შეკითხვა იმავე მასწავლებლის ტონში გავაგრძელო: — კიდევ?.. კიდევ?.. იმიტომ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სიკეთე ზღვაში წვეთი ყოფილა იმასთან შედარებით, რასაც თურმე ეს ფრინველი იძლევა. კერძოდ კი იმას, რაც ზამთარში ასე სჭირდება ადამიანს! უფრო კონკრეტულად? სითბო არის, რომელიც რესპუბლიკას არა აქვს, ყიდულობს და ამის გამო ვალებში იხრჩობა.

უაიროდ შიმშილი და სიცივე უკვე გამოვცადეთ. ეს კიდევ არაფერია თურმე იმ უბედურებასთან შედარებით, რაც მომავალში გველის. დღეს საქართველოს მთელი მოსახლეობა მცირე გამონაკლისის გარდა, სათბობად შეშას ხმარობს. იჩეხება უნიკალური ხე-ტყე, რომელიც რესპუბლიკაში არც ისე უხვად გვაქვს, და რაც არის, ისიც ნადგურდება.

ერთი ფაქტი. რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობამ დღეს სათბობზე მოთხოვნა 20-25 პროცენტით რომ დაიკმაყოფილოს, სულ მცირე სამი მილიონ ხუთასი ათასი კუბური მეტრი შეშა დასჭირდება, რაც ტყის მასივების გაჩეხვას უდრის. ეს რა შედეგსაც გამოიღებს, ყველას კარგად მოეხსენება.

ერთ-ერთ თათბირზე სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა: თუ წლეულს საწარმოების ამუშავება ვერ შევძელით, გაისად რესპუბლიკას კატასტროფა არ ასცდებაო და უმთავრეს სადღეისო პრობლემად ადგილობრივი რესურსების გამოძებნა და ამოქმედება დაასახელა.

ჭკვიანმა კაცმა ისედაც მშვენივრად იცის, რომ არსებობის საკუთარი სახსარი თუ არ გააჩნია, ქველმოქმედების იმედით დიდხანს ვერ იარსებებ.

მაგრამ საკითხავი ის არის, სად, როგორ და რა უნდა გამონახო ასე სახელდახელოდ, რომ თავს წამომდგარმა უბედურების აჩრდილმა ჭიასავით არ გაგსრისოს.

თუ კოოპერატივ „კონსტრუქტორის" კოლექტივს ვენდობით, საქმე არც ისე უსაშველოდ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში გაზის უფასოდ, უტრანზიტოდ, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი რაოდენობით მიღება აქვე, ჩვენს სოფლებში შეძლებულა.

როგორ?

როგორ და უბრალოდ.

თითქმის ორი საუკუნის წინათ ფრანგი მეცნიერის მიერ აღმოჩენილი ამ სასწაულით დიდი ხანია სარგებლობს ცივილიზებული მსოფლიო; ეს მეთანტენკებია, რომლის საშუალებით წუნწუხიდან ბიოგაზი მიიღება. ამ მეთოდით საწვავი გაზის მიღებას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მისდევენ.

ჩინეთში დღეისათვის უკვე 15 მილიონი მეთანტენკი მუშაობს. 2000 წლისათვის კი მათი რიცხვი 30 მილიონამდე გაიზრდება, რაც 500 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიღების საიმედო გარანტიაა. ინდოეთში 2 მილიონი მეთანტენკია. განვითარებულ ინგლისშიც კი სათბობზე სოფლის მოთხოვნილების 80 პროცენტი ბიოგაზით იფარება. ამერიკაში გაზის საერთო მოხმარების 2 პროცენტი ბიოგაზზე მოდის.

განვითარებულ ქვეყნებში უჟანგავი ფოლადით დამზადებული და თანამედროვე ავტომატიკით აღჭურვილი მეთანტენკები 14-20 ათასი, ხოლო უფრო მარტივი — 400-600 დოლარი ღირს.

300 დოლარი ან მისი ნახევარი დაგიჯდებათ კოოპერატივ „კონსტრუქტორის" სამამულო წარმოების მეთანტენკი თუ 2 მეტრი სიღრმისა და მეტრონახევარი სიგანის ჭას, ამ დანადგარს რომ სჭირდება, ცემენტითა და აგურით (ან ქვით) თითონვე ამოაშენებთ. გაზის შემკრებ მოწყობილობას კი კოოპერატივი დაამონტაჟებს და გარანტიასაც მოგცემთ, რომ 15-20 წლის განმავლობაში ტყეში შეშისათვის წასვლა აღარ დაგჭირდებათ. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუკი გყავთ შინაური ცხოველები და ფრინველები: ერთი კილოგრამი ქათმის სკორიდან შეგიძლიათ მიიღოთ 0,1 კუბური მეტრი ბიოგაზი, შესაბამისად ღორის ნაკელისაგან — 0,07 კუბური მეტრი, საქონლისა კი — 0,04 კუბური მეტრი გაზი. ბიოგაზით შეგიძლიათ მოხარშოთ საკვები, გაათბოთ ბინა, და მიიღოთ ელექტროენერგიაც მისი გაზგენერატორის ძრავაში დაწვისას. ბალონში დაჭირხნული გაზით კი მანქანა-ტრაქტორები ამუშაოთ. მოკლედ, მას დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია.

კოოპერატივს სოფლისათვის განკუთვნილი საჩუქრების ხურჯინში სხვა საინტერესოც აქვს ჩაწყობილი: 25 კვერცხიანი ინკუბატორი, რომელსაც ელექტროენერგია არ სჭირდება, კარაქის სეპარატორი, [illegible] ელსადგური, რომელიც ქარის ენერგიითაც მუშაობს.

იმ გლეხებს, რომლებიც მეთანტენკებს აიშენებენ, კოოპერატივი მიაწვდის სხვა დანადგარსაც, რომელიც მეთანტენკში აზოტით გამდიდრებული წუნწუხიდან მიიღებს ფრინველების, საქონლისა თუ თევზებისათვის საჭირო საკვებ პროდუქტს.

ასე რომ, თუ მოინდომებთ — 300 ან 155 დოლარად ზამთარს ისეთი მომზადებული შეხვდებით, როგორც არასდროს.

P. S. დღეს, როცა რადიო-ტელევიზია და ჟურნალ-გაზეთები უცხო ხილი გახდა რაიონებისა და სოფლებისათვის, საეჭვოა ამ სტატიამ დანიშნულების ადგილამდე მიაღწიოს. მაგრამ თუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, გამგებლები, მთავრობის მეთაურის რწმუნებულები, ბიზნესმენები საჭირო ყურადღებას მიაქცევენ ამ სიახლეს, ადვილი შესაძლებელია, სულ რამდენიმე თვეში ქართული სოფლები მეთანტენკებით მოიფინოს. გამოთავისუფლებული თურქმენული გაზი კი მომაკვდავი სამამულო მრეწველობისა და დამდეგი ზამთრის შიშით ზაფხულშივე აკანკალებული დედაქალაქის გაყინულ არტერიას შეეშველოს.

მარინე მათიაშვილი.

სკოლა

სასწავლო წელი დაიწყო, რა იქნება შემდეგ?

მომავალი თაობის აღზრდის საქმე ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. ყოველ შემთხვევაში ასე იყო აქამდე, მაგრამ დღეს, როცა ყველაფერს თავზე ვინგრევთ, ქვეყანას ვპარტახებთ, ახალგაზრდობა თითქმის აღარავის ახსოვს. მოზარდი უყურადღებოდ არის დარჩენილი. ჩვენი დუხჭირი ცხოვრებიდან გამომდინარე სკოლას, მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს უამრავი პრობლემა დაუგროვდა. სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რვეული, რომელიც 400-500 მანეთი ღირს, უმრავლესობისთვის ხელმიუწვდომელია. მასწავლებელს მგზავრობის საფასურის გადახდის საშუალებაც კი არა აქვს. თუმცა, ამ მხრივ ბოლო ხანს როგორღაც იზრუნა სახელმწიფომ და პედაგოგებს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე უფასოდ მგზავრობის უფლება მისცა, მაგრამ ეს პრობლემას ვერ ხსნის, მასწავლებელი და საერთოდ განათლების სისტემის მუშაკები ჩვენს საზოგადოებაში ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ნაკლებუზრუნველყოფილ ფენას წარმოადგენს.

მოვიდა პირველი სექტემბერი. სექტემბერი, რომელიც ყველა ჩვენგანის მეხსიერებაში ყოველთვის ტკბილმოსაგონარ დღესასწაულად დარჩება.

რა ელოდებათ დღეს ცუგრუმელა გოგო-ბიჭებს სკოლაში? როგორი მომზადებული ხვდება იგი ახალ სასწავლო წელს? ამის თაობაზე გვესაუბრება ქალაქის 85-ე საშუალო სკოლის დირექტორი **ოსიკო თათენაშვილი.**

— ყოველი ახალი სასწავლო წელი, პირველი სექტემბერი, ჩვენთვის პედაგოგებისა და საერთოდ, საზოგადოებისთვის, საზეიმო დღე იყო. ასეა დღესაც. თუმცა, წინანდელი ელფერი დაკარგა. ახლა საზეიმოდ აღარ გვცალია, არც ამის საშუალებაა, ვერც წინანდელივით მომზადებული ვხვდებით მას, რას იზამ, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო, ნათქვამია. მასწავლებელს უდიდესი მისია აკისრია. ამიტომაც, როგორც უნდა უჭირდეს, იგი თავის საქმეს ვერ უღალატებს, ბავშვს არ უღალატებს. ის, თუ გვინდა რომ ჩვენი ქვეყანა ფეხზე დადგეს, სამშობლოს ბურჯად უნდა აღიზარდოს.

ახლა იმ პრობლემებზე რომ მოვყვე საუბარს, რაც ჩვენს სკოლას და, საერთოდ ყველას, გვაწუხებს, მართალი არ ვიქნები, მაგრამ ერთი რამ კი უნდა ვთქვა: სკოლაში სასწავლო პროცესი რომ ნორმალურად წარიმართოს, ელემენტარული პირობების შექმნა მაინც არის საჭირო: ცარცი, რვეული, წიგნი, სასწავლო პროგრამები, საკლასო ჟურნალი დღეს სანთლით საძებარი გაგვიხდა. რუსული რუბლი აბა სკოლას ვინ მისცა, არადა ეს ნივთები ყველაფერი ვალუტით იყიდება. კუპონებით რომ ვერაფერს შეიძენთ, ეს თქვენც მოგეხსენებათ, მაგრამ მაინც, შეძლებისდაგვარად, ალბათ, როგორც ყველა, ჩვენც გავაკეთეთ რაღაც. მართალია სკოლისთვის ძველებურად ახალი ინვენტარი არ შეგვიძენია, საკადრისად ვერც მიმდინარე რემონტი ჩავატარეთ, მაგრამ სასწავლო პროცესის დასაწყებად მზად ვართ. ამდენად, ახალ სასწავლო წელს, უიმედოდ არ ვხვდებით. რესპუბლიკის ხელისუფლება, განათლების სამინისტრო გვპირდება, რომ პირობები გაგვიუმჯობესდება. პედაგოგს ვაჭრობით თავის რჩენა არ უნდა სჭირდებოდეს, ეს მისთვის შეუძლებელი და შეუფერებელი საქმეა.

გასული სასწავლო წელი მართლაც რომ წარმატებით დავამთავრეთ, სასიამოვნოა, რომ ჩვენი სკოლადამთავრებულების დიდი ნაწილი უკვე ქალაქის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები გახდნენ...

• • •

დღეს საკუთარი გასაჭირით ვერავის გააკვირვებ. მართალია ბატონი ოსიკო — დღეს ყველას გვიჭირს, მაგრამ რახან ამ ქვეყნის შვილები ვართ, კიდეც უნდა ვიზრუნოთ მისი კეთილდღეობისთვის. ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ ისე, როგორც ეს მამულიშვილს შეეფერებაო...

ქართული სკოლა, რომელსაც უდიდესი ტრადიციები აქვს, კვლავაც შეასრულებს ამ მისიას.

ნათია ცარციძე.

გუშინ...

კალათბურთი. კორაჩის თასი. პირველი ეტაპი. „თბილისი"-ვილნიუსის „სტატიბა" — 85:110.

ფეხბურთი. ევროპის ახალგაზრდული (ოლიმპიური) ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. საქართველო-მოლდოვა — 3:0.

ამ დღეს თაობები ელოდნენ...

კიდევ რამდენიმე საათიც და ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე დაიწყება 1996 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი მეშვიდე ჯგუფის გუნდებს — საქართველოსა და მოლდოვას შორის. ამ მოვლენისათვის მეტოქენი ასეთი შემადგენლობით ემზადებიან:

საქართველო:

ირაკლი ზოიძე, მურთაზ შელია, გიორგი ნემსაძე, გელა ინალიშვილი, ზაზა რევიშვილი, გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, გიორგი ქინქლაძე, რევაზ, არჩილ და შოთა არველაძეები (ყველა „თბილისის „დინამო"), იოსებ გრიშიკაშვილი („მეტალურგი"), აკაკი დევაძე („შევარდენი"), დიმიტრი კუდინოვი (კვიპროსის „აპოელი"), კახა ცხადაძე (გერმანიის „აინტრახტი"), თეიმურაზ ქეცბაია (საბერძნეთის „აეკი"), გია გურული (საფრანგეთის „დიუნკერკი"), გიორგი ჩიხრაძე (უკრაინის „ტემპი"), გოჩა გოგრიჭიანი (კვიპროსის „ომონია") და კახა გოგიჩაიშვილი („სამტრედია").

მთავარი მწვრთნელი — **ალექსანდრე ჩივაძე.**

მოლდოვა:

ვასილ კოშელევი, ევგენი ივანოვი, სერგეი სტროენკო, სერგეი პოგორელოვი, სერგეი სეკუ, იგორ ოპრია, ვლადიმერ გაიდარაში, ვლადიმერ კოსუ, გიორგი ხარია (ყველა „ტილიგული"), სერგეი ბუნარაში, ემილ კარასი, ალექსანდრე სპირიდონი, იგორ ოვჩერენკო, ალექსანდრე კურტიანუ, სერგეი ნანი, სერგეი კლეშენკო, ივანე ტესტიმიციანუ (ყველა „ზიმბრული"), ვიქტორ რუსუ, სერგეი ალექსანდროვი, იური და ალექსანდრე სკალები (ყველა „ბუჯაკი") და ალექსანდრე გუზუნი (ბუქარესტის „რაპიდი").

მთავარი მწვრთნელი — **იონ კარასი.**

ამავე VII ჯგუფში დღეს ითამაშებენ უელსისა და ალბანეთის გუნდები. სულ დღეისათვის დანიშნულია 18 შესარჩევი მატჩი. გთავაზობთ კვირას გამართული ორი შეხვედრის შედეგს:

ისრაელი — პოლონეთი 2:1,
ესტონეთი — ხორვატია 0:2.

მოლდოვა გუშინ...

დღევანდელი ისტორიული მატჩის წინ გთავაზობთ მოკლე ექსკურსს მოლდოვას წარსულზე.

მოლდოვის ძირითად მოსახლეობას მოლდაველები (საკუთარი სახელწოდება — მოლდოვენი) შეადგენენ. მოლდავური ენა განეკუთვნება აღმოსავლეთ რომანულ ენათა ჩრდილოეთ დუნაის ჯგუფს, რომლის საფუძველია ლათინური ენა. მორწმუნე მოლდაველები მართლმადიდებლები არიან. ჰავა ზომიერად კონტინენტურია. ზამთარი თბილი იცის, ზაფხული კი ხანგრძლივი და ცხელი. ხშირია თავსხმა წვიმები ჭექა-ქუხილით. ნიადაგის 75 პროცენტი შავმიწიანია. ტყეს უჭირავს 8 პროცენტი. დედაქალაქის — კიშინიოვის (მოლდავურად კიშინეუ) მოსახლეობა 1979 წლის აღწერით ნახევარ მილიონს აღწევდა. სახელი მომდინარეობს მოლდავური ყიშლანოუდან, რაც ნიშნავს ახალ ხუტორს (იგულისხმება ზამთრის სადგომი — ყიშლაღი). იგი პირველად მოიხსენიება 1420 წელს. დიდი ქალაქებია ტირასპოლი, ბელცი, ბენდერი. ტირასპოლი — ქალაქი მდინარე დნესტრზე (ტირასი მდინარე დნესტრის ძველი სახელწოდებაა), დაარსებულია 1792 წელს. ბელცი მოლდავურად ჭაობს ნიშნავს, ხოლო ბენდერი თურქული სიტყვაა, რაც ნავსადგურის აღმნიშვნელია (იგი მდებარეობს მდ. დნესტრის ნაპირზე).

მოლდავეთი XIII-XIV საუკუნეებში თათარ-მონღოლთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. 1359 წელს დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბდა. 1812 წელს მისი აღმოსავლეთი ნაწილი (ბესარაბია) რუსეთს გადაეცა. 1918 წელს მოლდავეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. 1924 წელს შეიქმნა მოლდავეთის ასსრ, ხოლო 1940 წელს მოლდავეთის სსრ.

მართალია, მოლდოვა ფართობით (33.7 ათასი კმ²) საქართველოს ტერიტორიის (69,5 ათასი კმ²) თითქმის ნახევარია, მაგრამ მოსახლეობის მხრივ იგი (4.025 ათასი) ტოლს არ უდებს ჩვენს ქვეყანას (5.071 ათასი, 1981 წლის მონაცემებით). მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვის მიხედვით მოლდოვას ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს შორის პირველი ადგილი ეკავა (1 კმ²-ზე 119.4 კაცი).

მკითხველებს შევახსენებთ, რომ მოლდავეთიდან საქართველო იღებდა სარეცხ მანქანებს, მაცივრებს, ტრაქტორებს, ტუმბოებს, ხის დასამუშავებელ დაზგებს, გალვანომეტრებს, ბამბეულს, აბრეშუმის ქსოვილებს, ტყავის ნედლეულსა და სხვა, ხოლო საქართველოდან მოლდავეთში იგზავნებოდა ჩაი, მინერალური წყლები, აბრეშუმის, შალისა და საფარდე ქსოვილები, სათამაშოები, საპარფიუმერიო ნაწარმი, ავტომანქანები და სათადარიგო ნაწილები.

სულიკო ნუცუბიძე.

• • •

სურათზე: საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდი მალტელებთან (ამასწინანდელი ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრის დაწყების წინ.

ვარლამ ბენზიურის ფოტო.

თენგიზ მონცელიძე

გარდაიცვალა სამეცნიერო-საწარმოო სამონტაჟო გაერთიანება „საქმონტაჟსპეცმშენის" [illegible]დრების, შრომისა და ხელფასის სამმართველოს უფროსი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, მთავრობის მრავალი ჯილდოს კავალერი, შრომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი თენგიზ გრიგოლის ძე მონცელიძე.

დაიბადა 1927 წელს, თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა — 19 წლისა, ჩაება შრომით საქმიანობაში და განვლო სახელოვანი გზა გაერთიანება „საქმონტაჟსპეცმშენის" სამმართველოს უფროსამდე, სადაც 1965 წლიდან უცვლელად მუშაობდა.

დიდია თენგიზ მონცელიძის წვლილი, როგორც სპეციალისტისა და ორგანიზატორისა, იმ მნიშვნელოვან გამარჯვებებში, რომელსაც მიაღწია გაერთიანებამ მისი არსებობის 29 წლის მანძილზე.

მისი თაოსნობითა და ინიციატივით ბევრ კეთილ და საჭირო წამოწყებას დაედო სათავე, მრავალ სპეციალისტს გაუკაფა გზა ნიჭისა და უნარის გამოვლინებაში, დღეს ბევრი მათგანი თავად ხელმძღვანელობს არაერთ რთულ ობიექტს.

წლების განმავლობაში — 1948 წლიდან 1965 წლამდე — თენგიზ მონცელიძე მოღვაწეობდა რუსთავში სხვადასხვა თანამდებობაზე და პირადი წვლილი შეიტანა ინდუსტრიული ქალაქის განვითარებაში.

წავიდა ჩვენგან უპრეტენზიო, კეთილშობილი, ალალ-მართალი კაცი, კარგი სპეციალისტი, ნამდვილი თბილისელი, მეგობარი და მოქალაქე, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და მეგობრების გულში.

სამეცნიერო-საწარმოო სამონტაჟო გაერთიანება „საქმონტაჟსპეცმშენი".

ნუგზარ სტეფანია

მონატრებას დიდი სევდა სცოდნია. ძალიან მოგვენატრე. ხან მოსკოვიდან გელოდებით, ხან თბილისიდან. სად წახვედი, რატომ წახვედი ასე შორს, საიდან მოგელოდით, საიდან გელოდოთ... 14 სექტემბერი შენი დაბადების დღეა, 41 წლისა გახდები. 6 თვეა აღარ გვინახიხარ, შარშან, როცა 40 წლისა შესრულდი, „აღნიშვნა არ ვარგაო", არაფერი გაგვაკეთებინე. 41 კი საფლავზე უნდა მოგილოცოთ.

როგორ გინდოდა სიცოცხლე, „წიგნი მაქვს დასამთავრებელიო", ჩქარ-ჩქარა ეუბნებოდი ექიმებს, მაგრამ იმ წყეულმა სენმა მაინც არ დაგინდო. ინსტიტუტთან, სადაც შენ ასწავლიდი, ვეღარ გაგვივლია, სიმწრისგან თვალები გვიბნელდება. რამდენი კარგი გააკეთე შვილო და კიდევ რამდენს გააკეთებდი. როცა გაგიჭირდა, სიყვარულისა და მადლიერების გამოსახატავად, ყველანი ფეხზე დადგნენ, ზოგმა სისხლი გადაგისხა, ზოგმაც ღამეები გაგითენა საავადმყოფოში, მაგრამ...

დაბადების დღეს მოგილოცავთ ჩვენო თბილო, უწყინარო შვილო. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა და ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული.

ოჯახი.

ფირმა «PrintShop»
თბილისი.
ვირსალაძის ქ. 8
ტელ.: 998696,
997712.
რუსთაველის გამზირი
სასტუმრო „თბილისი"
ჯორჯაძის ქ.
PrintShop
ვირსალაძის ქ.
ბროსეს ქ.
მარჯვენა სანაპირო
მდ. მტკვარი
მხატვრების სკვერი
უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!
უმოკლეს დროში!
დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის ბეჭდებსა და შტამპებს
სავიზიტო ბარათებს, ბლანკებსა
და ფასიან ქაღალდებს
PS L.T.D

სააქციო საზოგადოება
„ტრანსფერი"
გთავაზობთ შეღავათიან ფასებში
ტურისტულ მომსახურებას:
გერმანია, აშშ, ისრაელი, სირია, ირანი,
ბულგარეთი, ბეირუთი, იორდანია.
აგრეთვე, საკონსულო მომსახურებას
მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.
მარჯანიშვილის ქ. 5, III სართული, ოთახი 306,
ტელ: 96-91-93.

GBS COMPUTERS
Phone: (+7 8832) 930039
Hotline: (+7 8832) 934987
Fax: (+7 8832) 988753
COMPUTER EQUIPMENT
FOR SERIOUS PEOPLE
კომპიუტერული
ტექნიკა
სერიოზული
ადამიანებისათვის

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380008, თბილისი, გ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები; მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის [illegible] პოლიგრაფიული წყობის [illegible] [illegible] გამომცემლობა „სამშობლოს" [illegible] [illegible], თბილისი, [illegible] 89.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია [illegible].

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434